# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№131 (9811) 2024 წლის 15 ნოემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი




3

## პუტინისა და ტრამპის „დიდი გარიგება“ იწყება?!

ვიქტორ რცხილაძე

## გადარჩენისკენ მიმართული მცდელობა



5

„მაგრამ მე მაინც მოკვდავი დავრჩი“...

## „ქართულ ოცნებას“ მუდამ დამარცხებული სასაცილო, ოპოზიცია ჰყავს!

4

## ბავშვებზე ძალადობის საქმე და სკანდალი ინგლისის ეკლესიაში!



8

## ვინ შეავსებს ოპოზიციურ ველს?

პრემიერი ახალი ოპო-ზიციური ძალის აუცილებ-ლობაზე საუბრობს



2

## უზნეობის ზეიმი გაგანია ომში!..




9




7

## მისი პოეზიის გემი

## სპორტის სასახლე კვლავ დიდებული გახდება!



6

## „გულაობა“ შეიძლება დასრულდეს უეცარი სიკვდილით!

11

# ირაკლი კობახიძე: საქართველო მზადაა, 2025 წლისთვის წარადგინოს მესამე თაობის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რაც მიზნად ისახავს გლობალური დათბობის შენარჩუნებას 1.5 ზღვრული გრადუსის ფარგლებში



**საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, შეასრულოს ეროვნული ვალდებულებები პარიზის შეთანხმების განხორციელებისკენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ COP29-ის ლიდერების სამიტზე ბაქოში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

მთავრობის მეთაურის თქმით, „ამ მიზნით, საქართველო მზადაა, 2025 წლისთვის წარადგინოს ახალი, მესამე თაობის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რაც მიზნად ისახავს გლობალური დათბობის შენარჩუნებას 1.5 ზღვრული გრადუსის ფარგლებში და ხედვის განხორციელების ხელშეწყობას, რომლის თანახმად ევროპა იქნება პირველი კონტინენტი, რომელიც ნულოვან ემისიას მიაღწევს“.

„ამ პროცესში საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რაც მთელი საზოგადოების ჩართულობას გულისხმობს. სამწუხაროდ, საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმდინარე უკანონო ოკუპაციის გამო, მთავრობას არ აქვს შესაძლებლობა, აღნიშნულ რეგიონებში, რაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტს შეადგენს, განახორციელოს ღონისძიებები, რომელთა მიზანია კლიმატის ცვლილების მავნე ზემოქმედების შემცირება და მისი შედეგების შემსუბუქება. კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების ზომების დაფინანსება ახალი კოლექტიური ინიციატივის ფარგლებში განსაზღვრავს, ჩაითვლება თუ არა ბაქოს კონფერენცია წარმატებულად. ახალი მიზანი უნდა იყოს ამჟამინდელი 100 მილიარდი დოლარის ნიშნულის მნიშვნელოვანი ზრდა და გლობალური ფინანსური ნაკადების უზრუნველყოფა პარიზის შეთანხმების მიზნებთან თანხვედრისათვის. ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ, რომ წინა კონფერენციაზე აღიარებულ იქნა, რომ განვითარებად ქვეყნებს მიმდინარე ათწლეულის ბოლომდე დაახლოებით ექვსი ტრილიონი დოლარი დასჭირდებათ კლიმატის ცვლილების ეფექტური დაძლევის მიზნით. წლევანდელი კონფერენციის შედეგად განვითარებადი ქვეყნების წვდომაც უნდა გაუმჯობესდეს კლიმატის ცვლილების გამკლავების ზომების დაფინანსებაზე და შეიქმნას აუცილებელი უნარები, რათა ამ ქვეყნებმა გაზრდილი დაფინანსების ეფექტური გამოყენება შეძლონ“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

---

## დაბრმავდით, ძვირფასებო?!

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ სოციალურ ქსელში წერს და ინფორმაციების სქრინებს აქვეყნებს:**

* „საფრანგეთში პოპულარობით მეორე პოლიტიკური ძალის ლიდერის დაჭერას აპირებენ!..

* გერმანიაში – პოპულარობით მეორე პარტიის გაუქმებას!!!

* ამერიკაში პრეზიდენტობის ოპოზიციურ კანდიდატს 561 წლით (ოღონდ მართლა) თავისუფლების აღკვეთით ემუქრებოდნენ და მხოლოდ პრეზიდენტად არჩევამ უშველა, პროკურორმა კი, რომელიც საქმეს იძიებდა, გადადგომა დააანონსა!

ამაზეა ნათქვამი: საკუთარ თვალში დირეს ვერ ხედავდე და სხვისაში ბეწვს ეძებდე.“

**შალვა პაპუაშვილი**




**არჩევნების შესაძლო გაყალბების საქმის გამოძიების ფარგლებში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის არაერთი წარმომადგენელი დაიკითხა. დაკითხულია თუ არა ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი უცნობია, საქმის პროკურორის ლაშა ცქვიტარიას განცხადებით, დაკითხულების ვინაობის შესახებ ინფორმაციას ვერ გაასაჯაროვებს, თუმცა ამბობს, რომ ცესკოსთან მიმართებაში კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.**

„საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში აქტიურად მიმდინარეობს საგამოძიებო და



საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, ხდება იმ პირების დაკითხვა, უშუალოდ საგამოძიებო ორგანოში, ვინც შეიძლება ფლობდეს რაიმე სახის ინფორმაციას არჩევნებთან დაკავშირებით, მათ შორის, მიმდინარეობს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან მიმართებაში. დაკითხული პირების და მათი ვინაობების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით, თუმცა დაგიდასტურებთ, რომ გამოძიების ფარგლებში დაკითხულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არაერთი წარმომადგენელი“, - განაცხადა ლაშა ცქვიტარიამ.

როგორც ცნობილია, არჩევნების გაყალბების საქმის ფარგლებში მიმდინარე გამოძიების ნაწილში, საქალაქო სასამართლოში, მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებით, „ძლიერი საქართველოს“ წევრი საბა ბუაძე და „კოალიცია ცვლილებისთვის“ წევრი თენგო თევზაძე დაიკითხნენ. მანამდე კი ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, მამუკა ხაზარაძე, ნათია მეზვრიშვილი, ლონდა თოლორაია დაიკითხნენ. გამოძიებასთან არ თანამშრომლობს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც პირველი ოფიციალური პირი იყო, რომელმაც აღნიშნა, რომ „ეს იყო რუსული არჩევნები და, რომ არჩევნები მასიურად გაყალბდა“!!!

სწორედ ზურაბიშვილის განცხადების შემდეგ უკვე რადიკალური ოპოზიცია იწყებს მოქმედებას და არჩევნების გაყალბების მოტივით აანონსებენ ქუჩის აქციებს, თუმცა პროცესების ქუჩაში გადატანა ვერ შეძლეს. ამ დრომდე მხოლოდ ზეპირი განცხადებით, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ამტკიცებენ, რომ არჩევნები გაყალბდა. ამავე დროს არ თანამშრომლობენ პროკურატურასთან იმ მოტივით, რომ ეს არის ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი პროკურატურა, რომელიც საქმეს არ გამოძიებს.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ოპოზიცია თავისი ხელით აკეთებს იმ საქმეს, რაც ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა. ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ამ ოპოზიციით ქვეყანა არ შეიძლება, დიდხანს აგრძელებდეს პოლიტიკურ ცხოვრებას. შესაბამისად, ეს ოპოზიცია უნდა ჩანაცვლდეს ახალი, ჯანსაღი პოლიტიკური ძალებით.

„ბუნებაში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება არჩევნების გაყალბების. რაც შეეხება წინასაარჩევნო პერიოდს, უპრეცედენტოდ მშვიდი გარემო იყო და არც ერთი არსებითი დარღვევა არ დადასტურებულა. რაც შეეხება არჩევნების დღეს, პროცედურები არსებითად ელექტრონული წესით წარიმართა. ამომრჩეველთა 90%-ზე მეტმა ხმა მისცა ელექტრონული წესით, მანამდე რეგისტრაციაც ელექტრონული წესით გაიარა და მათი ხმებიც ელექტრონული წესით დაითვალა. აქედან გამომდინარე, ოპოზიცია რეალურად ელექტრონულ აპარატებს შეეჯახა და ვერას გახდა ამ ყველაფერთან დაკავშირებით გამომდინარე იქიდან, რომ ყველაფერი აბსოლუტური სიზუსტით წარიმართა. ძალიან სწრაფი ტემპით დაითვალა არჩევნების შედეგები. შესაბამისად, მოსადავებელი საერთოდ არაფერია.

აქედან გამომდინარე, ოპოზიცია მძიმე მდგომარეობაშია და პროკურატურასთანაც ვერ თანამშრომლობენ, მიუხედავად სახელმწიფო დეპარტამენტის მოწოდებისა. ისინი თავისი ხელით აკეთებენ იმ საქმეს, რაც ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა. ამ ოპოზიციით ქვეყანა არ შეიძლება დიდხანს აგრძელებდეს პოლიტიკურ ცხოვრებას. ეს ოპოზიცია უნდა ჩანაცვლდეს ახალი, ჯანსაღი პოლიტიკური ძალებით. რეალურად, აქეთკენ მიჰყავთ საკუთარი ხელით პროცესები“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მაშ ასე, მთავრობის ხელმძღვანელმა დააანონსა პოლიტიკურ ველზე ახალი პოლიტიკური ძალის შემოსვლა. არაოფიციალური ინფორმაციით, თვითმმართველობის

# ვინ შეავსებს ოპოზიციურ ველს? პრემიერი ახალი ოპოზიციური ძალის აუცილებლობაზე საუბრობს

არჩევნებისთვის პოლიტიკურ ველზე შემოვა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც გათვლას გააკეთებს იმ 500 ათას ამომრჩეველზე, რომელიც გაბრაზებულია „ქართულ ოცნებაზე“ და ამავე დროს, მხარს არ უჭერს არც ერთ ოპოზიციურ ძალას.

✦ ✦ ✦

**ბლოგერი და ანალიტიკოსი ლევან ადეიშვილი თვლის, რომ ახალი ძალა საჭიროა პოლიტიკაში, რადგან მედროვეების და პოლიტიკური ჯაგლაგების დრო მიდის. მისი თქმით, იმისათვის, რომ გაგეძლო დასავლეთის ზეწოლისთვის, ამისთვის ეს პოლიტიკური გუნდი ვარგოდა, მაგრამ თუ ქვეყნის აშენება გვინდა, ასეთ შემთხვევაში რადიკალური პოლიტიკური ჯგუფი უკვე აღარ ვარგა.**



ერთია სურვილი, მაგრამ მეორეა რეალობა, როდესაც საარჩევნო სისტემა ისე არის მოწყობილი, რომ ფინანსების გარეშე არაფერი გამოდის. პარტიამ, რომელმაც ბარიერი უნდა გადალახოს, სჭირდება დრო და რაც მთავარია, ფინანსები.

„ამ დროს ხალხი ითხოვს ახალ პოლიტიკურ ძალას. ხალხს ყელში ამოუვიდა ასეთი ოპოზიცია, რომელიც არის მონური სულისკვეთების. ყველაზე საუკეთესი ნიმუში იმისა, რომ რა არის კოლონია, არის ჩვენი ოპოზიცია, უბრალოდ, ხელი უნდა გაიშვირო ოპოზიციისკენ. თუ გაქრა ნაცმოძრაობა და მასთან დაკავშირებული ეს პარტიები და შემოვიდა ახალი ძალა – ასეთ დროს დგება კითხვა – რა პოლიტიკური მომავალი ელოდება „ქართულ ოცნებას“, რომელსაც მთავარი მიზეზი რატომაც აძლევდა ამომრჩეველი ხმას, იყო ნაცების მობრუნების შიში და ომის საფრთხე და ეს გაქრება. შესაბამისად, ამაზე წავა ხელისუფლება მთლიანობაში? შეიძლება ამას ხვდება კობახიძე, ივანიშვილი, მაგრამ დანარჩენები ამას ვერ ხვდებიან, ან თუ ხვდებიან არ ენდომებათ“, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ლევან ადეიშვილმა.

✦ ✦ ✦

**ანალიტიკოს ედიშერ გვენეტაძის შეფასებით, მილიონ ორასი ათასმა ადამიანმა, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა, თქვა, რომ დღევანდელ საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს. მისი თქმით, ესენი არიან მე-5 კოლონის წარმომადგენლები, რომლებიც ასრულებენ უცხოელების დავალებებს საქართველოში.**



„ეს არის საყოველთაოდ ცნობილი და მათი ყოველი ქმედება ვნებს ქვეყანას, მიმართულია იმისკენ, რომ ძალადობრივი გზით შეცვალონ ხელისუფლება. ამიტომ, პრემიერის ეს სიტყვები სავსებით მართებულად მიმაჩნია. მით უმეტეს მმართველი ძალა, რომელიც აირჩია მოსახლეობამ, დაჰპირდა, რომ აუცილებლად დადგება იმ ძალის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია. მართალია, ვერ მიიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა, მაგრამ არსებობს სხვა საშუალება და მეთოდები, რომლის მეშვეობითაც ეს მავნებლური ძალა უნდა მოსცილდეს ჩვენს ქვეყანას.

რა თქმა უნდა, ქვეყანაში უნდა შეიქმნას კონსტრუქციული პოზიცია, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ქვეყნის წინსვლაზე. ჯერჯერობით, შესაძლოა, არ ჩანდეს ასეთი ძალები, მაგრამ გავიხსენოთ – თვითონ „ქართულ ოცნებაში“ შეიქმნა ისეთი ძალა, რომელსაც ჰქვია „ხალხის ძალა“, რომლებიც გაერთიანებული არიან მმართველ გუნდში. პოლიტიკა ისეთი რამეა, რომ ვერ იტანს ვაკუუმს.

როგორც კი გაქრება ეს აგრესიული და მავნებლური პოლიტიკური ძალა, მაშინვე მის ადგილს დაიკავებს ის ძალა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ეროვნული ენერგიით სავსე ადამიანებით, რომლებიც შესაბამისი პირობების შემთხვევაში, აუცილებლად შეავსებენ იმ პოლიტიკურ ველს, რომელსაც ჰქვია ქართული ოპოზიციური ეროვნული, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული ოპოზიციური ველი. ეს აუცილებლად მოხდება და ჩემი სურვილია, რომ ეს მოხდეს ადგილობრივ არჩევნებამდე. **თუმცა, ჯერჯერობით, პოლიტიკურ-სამართლებრივად ეს უსაშინლესი ძალა არის მოსაცილებელი“!..**

მოამზადა **თამთა ქარჩავამ**

საქართველოს რესპუბლიკა

# „ამოუცნობი“ ტრამპი, ანუ თეთრი სახლი, დაბოლმილი პუტინი, ანუ კრემლი...



# პუტინისა და ტრამპის „დიდი გარიგება“ იწყება?!

**„ვოშინგტონ პოსტის“ ცნობით, კვირას, გვიან საღამოს, ვლადიმერ პუტინი სასწრაფოდ დაბრუნდა სამუშაოდ კრემლში და აშშ-ს არჩეულ ლიდერ დონალდ ტრამპთან სატელეფონო საუბარი ჰქონდა, რომლის დროსაც მხარეებმა უკრაინის ომი განიხილეს. თუმცა, კრემლმა გავრცელებული ინფორმაცია უარყო. „ეს არის სუფთა ფიქცია, ეს არის უბრალოდ მცდარი ინფორმაცია“, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა. ტრამპის კამპანიამ არც დაადასტურა და არც უარყო გამოცემის მოხსენება: „ჩვენ არ ვაკეთებთ კომენტარს პრეზიდენტ ტრამპსა და სხვა მსოფლიო ლიდერებს შორის კერძო ზარებზე“.**

**WP-ის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციისთანავე, გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა გამოაცხადა მზადყოფნა პუტინთან სასაუბროდ. კიდევ ერთი კითხვაა: იქნება ეს კომუნიკაცია ეფექტური? მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს პუტინთან მოლაპარაკებების დიდი გამოცდილება აქვს. უკრაინის ომის პირველ წელს მან დაახლოებით 14-ჯერ დარეკა კრემლში. თუმცა, როგორც ვიცით, ამას არანაირი ეფექტი არ მოჰყოლია.**



**პოლიტოლოგმა ვლადიმერ ფესენკომ TRT-თან ინტერვიუში ისაუბრა, რა პირობებს წამოაყენებს კრემლი უკრაინაში ომის შესაჩერებლად და რატომ არის სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება თითქმის გარდაუვალი პროცესი.**

**ვლადიმერ ფესენკო: გაზეთ „ვოშინგტონ პოსტის“ საინტერესო რეპუტაცია აქვს. ადრე დემოკრატებთან დაახლოებული იყო, ახლანდელ მფლობელს კი აშკარად სურს ტრამპისადმი ლოიალობა გამოავლინოს, რის გამოც რედაქციაშიც კი წინასაარჩევნოდ სკანდალი გაჩნდა. ამიტომ ეს გაჟონვა შესაძლოა საკმაოდ მიზანმიმართული იყოს.**

ის, რომ ტრამპსა და პუტინს შორის მოლაპარაკებები დაიწყება, მხოლოდ დროის საკითხია და ორმხრივად მისაღებ ფორმატზე შეთანხმება. აქ კი მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციოთ პუბლიკაციების სიმრავლეს ომის დასრულების შესახებ განსხვავებული იდეებით. უკვე იმდენია, რომ შეიძლება დაიბნე. რაღაც მხრივ ისინი ემთხვევა ერთმანეთს, ზოგში კი პირიქით, ეწინააღმდეგება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროისთვის არ არსებობს მკაფიო ოფიციალური შეთანხმებული გეგმა და მოლაპარაკების სტრატეგია.

***– რა პირობები შეიძლება იყოს?***

– ყველაზე სარწმუნო იდეა არის ომის გაყინვა ფრონტის ხაზზე. ერთი შეხედვით, ეს ყველაზე მარტივი სცენარია. მაგრამ აქაც ბევრი კითხვა ჩნდება: ფრონტის ხაზი და დემილიტარიზებული ზონები უნდა იყოს შეთანხმებული. ცეცხლის შეწყვეტის პროცედურა მოითხოვს სერიოზულ მოსამზადებელ სამუშაოებს.

აქ ასევე ჩნდება რთული პოლიტიკური კითხვა: ვინ დააკვირდება ზავის დაცვას? რუსეთი არ დათანხმდება ევროპელების მონაწილეობას, რადგან კრემლი მათ უკრაინის მოკავშირედ აღიქვამს. შესაბამისად, უნდა არსებობდეს ნეიტრალური მხარე. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ასეთი როლისთვის მზად არის მხოლოდ გაერო, მაგრამ ამას ორგანიზაციული და საბიუჯეტო საკითხების კოორდინაციაც დასჭირდება. მაგრამ გაყინვა ჯერჯერობით ყველაზე სავარაუდო სცენარია, რომლის ირგვლივ უკვე განიხილება სხვა დეტალები.

***– როგორი შეიძლება იყოს მოლაპარაკების პროცესის ფორმატი?***

– სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ შეუერთდნენ. და, რა თქმა უნდა, ეს იქნება შეერთებული შტატები, რადგან პუტინს რეალურად სურს მოლაპარაკება არა უკრაინასთან, არამედ ამერიკასთან. ეს შეიძლება იყოს ერთგვარი პარალელური გზა აშშ-სა და რუსეთს შორის, ასევე უკრაინასა და რუსეთს შორის. მოსკოვი და კიევი შუამავლის გარეშე შეთანხმებას ვერ მიაღწევენ. ასე რომ, ახლა უფრო მეტი კითხვაა, ვიდრე პასუხი.



***– არსებობს მოსაზრება, რომ ტრამპს შეუძლია უკრაინა არახელსაყრელი პირობებისკენ წაიყვანოს, ეს მართალია?***

– ამერიკული მხარე ზეწოლას მოახდენს როგორც უკრაინაზე, ასევე რუსეთზე. თუ კიევი უარს იტყვის კომპრომისულ ვარიანტზე, შეერთებული შტატები შეიძლება დაემუქროს სამხედრო დახმარების შემცირებაზე. თუ რუსეთი არ წავა დათმობებზე, მაშინ ამერიკის სამხედრო დახმარება, პირიქით, შეიძლება გაიზარდოს. ვაშინგტონს სხვა ბერკეტებიც აქვს, მაგალითად, ნავთობის ფასებს შეამცირებს მსოფლიო ბაზარზე.

***– რა შეიძლება სცადოს რუსულმა მხარემ მოლაპარაკებაზე ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ?***

– დარწმუნებული ვარ, რომ პუტინი წამოაყენებს მოთხოვნების მთელ სიას. და, ეს არ იქნება მხოლოდ ტერიტორიებთან დაკავშირებული. შეგახსენებთ, რომ კრემლი ითხოვს არა მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებას, არამედ ითხოვს, რომ უკრაინამ დათმოს როგორც ხერსონი, ასევე ზაპოროჟიე.

რუსეთი ასევე დაჟინებით მოითხოვს უკრაინის ნატოში გაწევრებაზე უარის თქმას და აქ ტრამპი შესაძლოა შუა გზაზე აღმოჩნდეს. გარდა ამისა, ჩვენ ვისაუბრებთ უკრაინის არმიისა და მისი შეიარაღების მკვეთრ შემცირებაზე, რაც უკვე მიუღებელია კიევისთვის. ძლიერი არმია ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიაა მომავლისთვის.

ასევე, პუტინმა შესაძლოა მოითხოვოს პრორუსული პოლიტიკური ძალების ლეგალიზაცია და რეაბილიტაცია, ასევე ცვლილებები უკრაინის კანონმდებლობაში რუსული ენის სტატუსთან დაკავშირებით. მეეჭვება, რომ აქაც იყოს რაიმე კომპრომისი. ენის რეფორმის ცვლილებებს უკრაინის მოსახლეობა საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამს და საბჭოთა სიმბოლოების აღდგენა უბრალოდ შეურაცხმყოფელი იქნება.

***– მოითხოვს თუ არა რუსეთის ფედერაცია სანქციების მოხსნას?***

– რა თქმა უნდა. არ გამოვრიცხავ ტრამპი დათანხმდეს შეზღუდვების ნაწილობრივ მოხსნას და თანდათანობით მოხსნას ომის დასრულების სანაცვლოდ. ასეთი იდეები გამოთქვეს ტრამპმაც და გუნდის ზოგიერთმა წევრმაც.

***– შოლცმა გამოთქვა მზადყოფნა, დაურეკოს პუტინს. შეიძლება ველოდოთ, რომ სხვა პოლიტიკოსები გააქტიურდებიან ამ მიმართულებით?***

– გერმანიის კანცლერი შეეცდება, მონაწილეობა მიიღოს მომავალ მოლაპარაკებებში, რადგან მას სურს მშვიდობისმყოფელის როლის მორგება. შოლცისთვის ეს იქნება მისი განახლებული პოლიტიკური იმიჯის ნაწილი. სხვა საქმეა, რომ პუტინი მას ეფექტურ მომლაპარაკებლად არ აღიქვამს. მისთვის მთავარია ტრამპთან მოლაპარაკება. ასევე მაქსიმალურ ყურადღებას მივაქცევდი G20-ის სამიტს, რომელიც ნოემბრის შუა რიცხვებში გაიმართება, სადაც უკრაინაში ომის დასრულების საკითხი განიხილება. არ გამოვრიცხავ, რომ ბრაზილიამ და ჩინეთმა საპირისპირო წინადადებები წამოაყენონ და სამშვიდობო გეგმებს შორის კონკურენცია დავინახოთ. ასე რომ, ახლა რუსეთ-უკრაინის ომის მოგვარების თემა ერთ-ერთი მთავარი იქნება მინიმუმ მომდევნო თვეში.

**TRT-დან თარგმნა**

**ქეთი გიორგაძემ**

# ილონ მასკის შვილი ტრამპის გამარჯვების შემდეგ ამერიკას ტოვებს

**ილონ მასკის ტრანსგენდერმა შვილმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ ამერიკას დატოვებს.**

20 წლის ვივიენ ჯენა უილსონმა მამასთან ურთიერთობა 2022 წელს გაწყვიტა,როდესაც სქესისა და სახელის შეცვლა გადაწყვიტა. ამის ფონზე, ის იმედოვნებდა, რომ გაწყვეტდა ყველანაირ კავშირს ბიოლოგიურ მამასთან.

ახლა მას სურს შეერთებულ შტატებთან კავშირის გაწყვეტა ტრამპის ხელახალი არჩევის შემდეგ. ილონ მასკი დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიაში აქტიურად იღებდა მონაწილეობას და მისი აშკარა მხარდამჭერი იყო.

„ამაზე დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, გუშინ კი საბოლოოდ დადასტურდა. მე ვერ ვხედავ ჩემს მომავალს აშშ-ში. მაშინაც კი,თუ ის თანამდებობაზე მხოლოდ 4 წლის განმავლობაში იქნება, მაშინაც კი, თუ ანტიტრანს რეგულაციები ჯადოსნური სიჩქარით არ დაწესდება, ხალხი, ვინც ამ ყველაფერს ნებაყოფლობით მისცა ხმა, მალე ვეღარსად წავლენ“, — დაწერა უილსონმა Threads-ზე ტრამპის გამარჯვების შემდეგ.

უილსონი ერთ-ერთია იმ ექვსი შვილიდან, რომელიც მასკს თავის პირველ მეუღლესთან, ჯასტინ უილსონთან შეეძინა.




ცნობილია, რომ ილონ მასკმა ქალიშვილთან ურთიერთობის გაუცხოებაში „ნეომარქსისტები“ დაადანაშაულა.

**„ის სოციალიზმს გასცდა და კომუნისტად ჩამოყალიბდა, რომელიც თვლის, რომ ნებისმიერი მდიდარი ბოროტია“,** – აცხადებს მასკი, რომლის ქონება $285,6 მილიარდად არის შეფასებული

საქართველო რესპუბლიკა

არც ისე ბნელა!..

№131. პარასკევი, 15 ნოემბერი, 2024 წელი

## არჩილ გორდულაძე:
# თითის ქნევა კატეგორიულად მიუღებელია!



„ქართული ოცნების" წევრი არჩილ გორდულაძე ევროპარლამენტში საქართველოსთან დაკავშირებით გამართულ დებატებს გამოეხმაურა.

„არაერთი ქვეყნის ოფიციალურ პირს არაერთხელ უთქვამს, რომ ევროპარლამენტარების განცხადებები არის ცალკეული პარლამენტის წევრების განცხადებები და მათ არავითარი შედეგი არ მოაქვს ხოლმე. მთავარი არის კომისიების გადაწყვეტილებები. დამუქრება, თითის ქნევა, თითქოს, ქართველ ხალხს დასჯიან იმის გამო, რომ მათთვის მისაღები და მოსაწონი ხელისუფლება და გუნდი არ აირჩიეს, რა თქმა უნდა, კატეგორიულად მიუღებელია. ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყნის თავმოყვარე პოლიტიკოსს და პოლიტიკაში ჩართულ ადამიანს, ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყნის თავმოყვარე ხალხს, რა თქმა უნდა, უნდა ჰქონდეს თავისი აზრი და ხმამაღლა უნდა დააფიქსიროს პოზიცია, როდესაც ემუქრებიან, რომ თქვენ ამ ბენეფიტს, რასაც ჰქვია ევროკავშირში თავისუფალი გადაადგილება, საფრთხე შეიძლება შეექმნას მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ თქვენ არ აირჩიეთ ის ძალა, რომელიც ჩვენ მოგვეწონებოდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იქნება ორმაგი, სამმაგი და ათმაგი სტანდარტი, რომელიც არ არის მისაღები ორ თანასწორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში", – განაცხადა გორდულაძემ.

## ანდრაშ ლასლო:
# ჯგუფური თერაპიის სესია ევროპულად!

„ევროპარლამენტის დებატები არა მარტო საქართველოზე, არამედ შეერთებულ შტატებზეც ჯგუფური თერაპიის სესიას ჰგავს", – ამის შესახებ ევროპარლამენტარმა ანდრაშ ლასლომ ევროპარლამენტში გამართულ დებატებთან დაკავშირებით ისაუბრა, რომელიც საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს უკავშირდებოდა.



როგორც მან აღნიშნა, ევროპის პოლიტიკურ ელიტას ჰგონია, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებსაც ევროკავშირში გაწევრიანება სურთ, მხოლოდ ის უნდა გააკეთონ, რასაც ბრიუსელი ეტყვის.

**„ისინი არიან იმედგაცრუებული და ნაწყენნი, რომ აშშ-ში ამომრჩეველმა არ გააკეთა ისეთი არჩევანი, როგორიც ევროპის პოლიტიკურ ელიტას სურდა. ზუსტად იგივე ამბავია საქართველოზეც. აქ ფიქრობენ, რომ ევროკავშირში გაწევრების მსურველმა ქვეყნებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი, რასაც მათ ბრიუსელი ეტყვის. უნდა გააკეთონ ისიც კი, თუ ეს სუვერენიტეტის დათმობას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ქართველებს ეს არ სურთ. ჩემი აზრით, საქართველომ უნდა დაიცვას სუვერენიტეტი".** – განაცხადა ანდრაშ ლასლომ.

## ბრონისლავ ონდრუში:
# ეს სრული საშინელებაა!



**ევროპარლამენტარი ბრონისლავ ონდრუში იმ ევროპარლამენტარების გამოსვლებს გამოეხმაურა, რომლებმაც ევროპარლამენტში გამართულ დებატებზე საქართველოს ხელისუფლების მიმართ კრიტიკული განცხადებები გააკეთეს.**

**„სრული საშინელებაა. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ვინც აქ აკრიტიკებდა საქართველოს ხელისუფლებას, საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს, არასდროს ყოფილა საქართველოში. მათ აბსოლუტურად არ აქვთ პირდაპირი კავშირი საქართველოსთან და იქ მცხოვრებ ხალხთან. ჩემი აზრით, ესაა მთავარი პრობლემა. ვინც გამოდიოდა სიტყვით, მათ ვკითხე, თუ რამდენი დრო გაუტარებიათ საქართველოში და უმრავლესობა არასდროს ყოფილა თბილისში, ზოგმა ერთი ან ორი დღე გაატარა, უმრავლესობას მიღებული აქვს ინფორმაცია საერთაშორისო დამკვირვებლებისგან.**

**ჩემთვის მიუღებელია, შეაფასო ქვეყანა, რომლის შესახებაც არაფერი იცი და არასდროს გითანამშრომლია ამ ქვეყნის ინსტიტუტებთან, გვესმის ძალიან კარგად, რა ხდება. ჩემთვის მათი პოზიცია, ვინც აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლებას და მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს სანქციების დაწესებისკენ, მხარს უჭერს დღევანდელი კომისიის პოზიციას, ისინი წარმოადგენენ ორმაგ სტანდარტს. ჩემთვის მიუღებელია, მოსთხოვო საქართველოს, შეუერთდეს ჩვენს მიერ დაწესებულ სანქციებს და არ შესთავაზო არაფერი ისეთი, რაც ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას დააბალანსებს.**

**რაც შეეხება საქართველოზე სანქციების დაწესებას, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს არასდროს მოხდება. ეს იქნება ევროკავშირის საბოლოო მარცხი. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ევროპარლამენტის თითქმის ცარიელ დარბაზში სანქციების თაობაზე გაკეთებული განცხადებები ცარიელი სიტყვებია"!!!**

## დანილო დელა ვალე:
# ფარისევლობა ევროკავშირს ძირს უთხრის



**„საქართველოს მთავრობას ევროკავშირში გაწევრების პროცესის გაყინვით ვემუქრებით მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპარლამენტსა და ევროკომისიაში უმრავლესობას არჩევნებში გამარჯვებული არ მოსწონს", – განაცხადა ევროპარლამენტარმა დანილო დელა ვალემ საქართველოს საკითხზე გამართული დებატებისას.**

„ეუთომ გამოაქვეყნა ანგარიში. ამ ანგარიშში არ დადასტურებულა ბრალდებები მასშტაბურ თაღლითობასთან დაკავშირებით, როგორც ამას ოპოზიცია ამტკიცებს. თუმცა, ახლა საქართველოს მთავრობას ევროკავშირში გაწევრების პროცესის გაყინვით ვემუქრებით მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპარლამენტსა და ევროკომისიაში უმრავლესობას არჩევნებში გამარჯვებული არ მოსწონს. ამავე დროს, მოლდოვაში არჩევნები ჩატარდა, ორივე მხარე ერთმანეთს თაღლითობაში ადანაშაულებს, თუმცა ეს არჩევნები გამოცხადდა დემოკრატიის უდიდეს გამარჯვებად. როგორც ჩანს, ორმაგი სტანდარტები და ფარისევლობა ევროკავშირის სანდოობას ძირს უთხრის", – განაცხადა დანილო დელა ვალემ.

# „ქართულ ოცნებას" სასაცილო, მუდამ დამარცხებული ოპოზიცია ჰყავს!



## რამაზ საყვარელიძე:
## სანამ ახალი ოპოზიცია არ გაჩნდება, არარაციონალურია, არარენტაბელურია ამ ოპოზიციის მოშლა

**„ქართულმა ოცნებამ" საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მიიღო, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მთავარი საარჩევნო დაპირების შესრულების განხორციელებაში. თბილისის მერი კახა კალაძე არ გამორიცხავს, რომ „ქართულმა ოცნებამ" დაიწყოს მუშაობა ქვეყნის მიმართ მოღალატეობრივი ქმედებების ჩამდენთა მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე. გამოძიების შესაძლებლობა საკონსტიტუციო უმრავლესობის არქონის შემთხვევაშიც არსებობს.**

**„ნაციონალურ მოძრაობასთან" დაკავშირებით საარჩევნო კამპანიის დროს გავაკეთეთ განცხადება და გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება. მნიშვნელოვანი იყო საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება, იმიტომ რომ, იყო მთელი რიგი გეგმები და გადასადგმელი ნაბიჯები, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მივიღეთ, არ გამოვრიცხავ, დავიწყოთ მუშაობა იმაზე, რომ პასუხი აგოს ყველა იმ ადამიანმა, ვისაც მოღალატეობრივი ქმედებები აქვს ჩადენილი ქვეყნის წინაშე"**, – განაცხადა კახა კალაძემ.

მმართველ გუნდს ჯერჯერობით გენერალური პროკურატურისთვის არ მიუმართავს 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების დაწყების მოთხოვნით, თუმცა, როგორც ჩანს, პროცესი იწყება. აგვისტოს ომის გამოძიების პარალელურად კი დგება კიდევ ერთ-ერთი მთავარი საკითხი – „ნაციონალური მოძრაობა" როგორც დანაშაულებრივი პოლიტიკური ძალა უნდა გაუქმდეს.

უმრავლესობის წევრის **გურამ მაჭარაშვილის** განცხადებით, პარტიების აკრძალვაზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა დამოკიდებულია ოპოზიციის ქმედებებზე. მისი თქმით, გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მიიღებენ, როგორც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს დასჭირდება.

**„საკონსტიტუციო სასამართლოს გაცილებით მეტი მტკიცებულება ექნება, ვიდრე პოლიტიკური პარტიის აკრძალვას შეიძლება დაედოს საფუძვლად. პოლიტიკური ძალები ქვეყანას მტრობენ და ამას საჯაროდ აკეთებენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ვიდრე ოპოზიციაში „ნაციონალური მოძრაობაა", პოლიტიკურ სივრცეში ჯანსაღი ოპოზიციის ადგილი ვერ მოიძებნება."** – განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, ტრადიციულად, მტრის ხატს იგონებენ ხოლმე სპეციალურად და ვიცით, იგივე სტალინის პეროდში როგორ აცხობდნენ მტრებს სხვადასხვა კუთხეში და რატომ. საჭირო ხდება ეს მტრის ხატი, რადგან ბევრი მექანიზმი იწყებს მუშაობას.

**„როდესაც ასეთი მტერი, მეტოქე არსებობს ოცნებისთვის, რომელიც ვერცერთ არჩევნებში ვერ იმარჯვებს, ვეღარც ხალხი გამოჰყავს და ძირითადად სიცილის საგანი ხდება და განსაკუთრებით 11 ნოემბრის აქციის შემდეგ, ასეთი ოპოზიციის მოსპობა შეიძლება? სანამ ახალი ოპოზიცია არ გაჩნდება და ისეთი, რომელიც შეავსებს ამ ადგილს, პოლიტიკურ სცენაზე ცარიელი ადგილი რჩება. თუ ოპოზიციას არ ამოიყვან, მაშინ ვერც უცხოელებს აუხსნი, რა მოხდა და პრინციპში „ქართულ ოცნებასაც" მოსწყინდება მარტოობა და მერე დაიშლება თვითონ. ამიტომ, ჩემი აზრით, ჯერჯეროვით არარაციონალურია, არარენტაბელურია ამ ოპოზიციის მოშლა", – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.**

**თამთა ქარჩავა**



# 30 წლის წინ სულ სხვა წარმოდგენა გვქონდა ევროპაზე!

## ამირან სალუქვაძე:
## ...ორი წელია, დარბიან და ითხოვენ სავიზო მიმოსვლის გაუქმებას!

**საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერებასთან დაკავშირებით, ევროპელი ლიდერები უკვე ღიად ალაპარაკდნენ. როგორც გერმანიის პარლამენტის (ბუნდესტაგის) საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ მიხაილ როთიმ ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან ინტერვიუში განაცხადა, ევროკავშირში ბევრი მთავრობა უკვე განიხილავს საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის შეჩერებას. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თავად კატეგორიული წინააღმდეგი იყო უვიზო რეჟიმის შეჩერებისა, პოზიცია შეიცვლა. როთის შეფასებით, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რაც აქვთ, რათა თბილისს მიაწოდონ მკაფიო გზავნილი, შეწყვიტოს ანტიდემოკრატიული პოლიტიკა. მისივე თქმით, საქართველოს მთავრობამ უნდა გადაიხადოს ფასი. როგორც როთი აღნიშნავს, არ შეიძლება, საქართველომ ორ სამყაროში იცხოვროს.**

# გადარჩენისკენ მიმართული მცდელობა



## „მაგრამ მე მაინც მოკვდავი დავრჩი“...

**ისმის კითხვა: ვისი გადარჩენისკენ? რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილის (დიდის? მცირეს?) გადარჩენის მცდელობა, რომელიც შეპყრობილია სულიერი სნეულებით, რომელიც სხეულსაც მოიცავს, მაგრამ რომელსაც თვითონ არც ცნობს და არც ხედავს.**

რა სნეულებაა ეს? ეს ის სნეულება გახლავთ, რითაც საქართველო არაფრით არ განსხვავდება დასავლური ცივილიზაციის სნეულებისგან და რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს:

„ყველაფერზე აღმართულა უაზრობის აჩრდილი, იმის შეგნებით, რომ ტრანსცენდენტურობის, გმირობის, ღრმა გრძნობის უარყოფით, გვრჩება მხოლოდ ისეთი სიცოცხლე, რომელიც ყოველი აზრისგან დაცლილია, რომელიც არ გვთავაზობს არაფერს ფასეულს, რომელიც იწვევს მხოლოდ ნაღველსა და კოსმიურ მთქნარებას“(ჩარლზ ტეილორი, სეკულარული საუკუნე, ლონდონი 2007, თავი ,,მოდერნის საგანგაშო ზღვრები“).

**თანამედროვე დასავლური ,,ცივილიზაციისგან“ საქართველო მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ იგი მცირეა, და ვშიშობ, თავისი სიმცირის გამო დროზე ადრე არ წაილეკოს სატანისტური ტალღებისგან.**

მკითხველს ალბათ გაუკვირდება, რომ მსჯელობას გავაგრძელებ ვაგნერის გენიალური ოპერით ,,ტანჰოიზერი“. ეს რომანტიკული ოპერა, რომლის მუსიკა მის ლიბრეტოსთან ერთად ვაგნერის შექმნილია, მნიშვნელოვან საქმეს გვაუწყებს. ოპერა ეყრდნობა იმ გერმანულ ლეგენდას, რომლის თანახმადაც სიყვარულის ქალღმერთმა ვენუსმა როგორ აცდუნა რაინდი ტანჰოიზერი და როგორ შეიტყუა თავის მღვიმეში, სადაც ტანჰოიზერი წარმოუდგენელ სიამტკბილობაში გადაეშვა და სადაც დაიკარგა დროის შეგრძნება და ასე გრძელდებოდა უსასრულოდ. მაგრამ უეცრად (ღმერთის ჩარევით?), ოპერის ლიბრეტოს მიხედვით, ტანჰოიზერი ჩანგს აიღებს და ვენუსს უგალობს, ემადლიერება, რომ მან მიანიჭა არნახული სიამოვნება და მოულოდნელად ასეთ რამესაც უმატებს:

**„მაგრამ მე მაინც მოკვდავი დავრჩი;**
**უმაღლესი სიყვარულის უნარი მებოძა,**
**მაგრამ ეს ბედნიერება ჩემს ძალებს**
**აღემატება...**

**სულში მღელვარებს მოგონებები...**
**მწყურია მწუხარება და ტანჯვა,**
**მწყურია კვლავ ნაღველი და ცრემლები...**
**დედოფალო, გამიშვი, გამიშვი...“**

ვიწრო თვალსაზრისის მქონე ადამიანისთვის ასეთი თხოვნა გაუგებარია: იმას რა სჯობს, რომ სულ ჩაძირული იყოს სიტკბოებაში?! მაგრამ სულის სიღრმიდან აღმოცენდება იდუმალი მოთხოვნილება, რასაც ვერ ვაცნობიერებთ, მაგრამ რაც გასაკეთებელია. ჩავსვათ ტანჰოიზერის ადგილას ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც სულიერი სენით არის შეპყრობილი. როგორ ფიქრობთ, როგორ გადანაწილდება ამ სენით შეპყრობილ საზოგადოებაზე ის მოთხოვნები, რომელიც აღიძვრის ტანჰოიზერის წინაშე? **პირდაპირ ვიტყვი: ის, რომ ტანჰოიზერი ვენუსის მღვიმეში ჩაძირული იყო სხეულებრივ სიამტკბილობაში საკუთარი შეგნების, საკუთარი თვითცნობიერების გამორიცხვით, სწორედ ეს არის ის, რითაც ამ საზოგადოებას იზიდავს ეს პირუტყვული სიამოვნება და, დეკადანსის გზაზე დამდგარი ევროპიდან იმ „ფასეულობების“ გადმოტანას ცდილობს, რომლის საერთო სახელია უკიდეგანო სექსუალური თავაშვებულება. ტანჰოიზერისგან განსხვავებით, მათ არ სურთ რეალურ ცხოვრებას ეზიარონ, რადგან იქ „მწუხარება და ტანჯვაა, ნაღველი და ცრემლია“. თუმცა, ამქვეყნიურ ბედნიერებას ქრისტიანობა არ უარყოფს, მაგრამ აქ მაინც კლასიკური სახის ქრისტიანობასთან დაპირისპირებაა, როდესაც ირჩევენ ამქვეყნიურ, წარმავალ ბედნიერებას, მიღმური, წარუვალი ბედნიერების სანაცვლოდ.**

ახლა ისევ ოპერა ,,ტანჰოიზერს“ უნდა დავუბრუნდე. კომპოზიტორის გაუცნობიერებლად ხომ არ ხდება ისე, რომ ოპერის მუსიკის ის ნაწილი, რომელიც ვენუსის მღვიმეში ტანჰოიზერის სიამტკბილობას ახლავს, თავად გვევლინება დეტერმინისტულ ცდუნებად, შოპენჰაუერის „სამყაროს ნებად“(იხ. **არტურ შოპენჰაუერი,** სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა. თბილისი, 2016) და კაცს აიძულებს, მას დამორჩილდეს? მით უმეტეს, თუ ასეთი „ნება“ უკვე ჩადებულია სამყაროში და მისი გამოვლენა ძალუძს მხოლოდ დიდ პოეტს, ხელოვანსა თუ კომპოზიტორს, როგორც ამას გვაუწყებს თავის ცნობილ ლექსში ალექსეი ტოლსტოი (1817-1875).

მაგრამ, გარდა სერიოზული მუსიკისა, სამყაროში ჩადებულია ეშმაკის მანჭვა-გრეხითა და ხითხითით ისეთი ჰანგებიც და რიტმებიც, რაც თითქმის გაშიშვლებულ მოცეკვავეებში იწვევს სექსუალურ აღგზნებას, რაც გამოიხატება მათი ქვედა ტანის სექსუალური აქტის იმიტაციით და რაზეც მსჯელობენ მედიდური სახით ჟიურის წევრები (კიდევ ერთი ,,ფასეულობა“ დასავლეთიდან ჩვენში გადმოღებული!).

ჩვენი წერილის სათაურია „გადარჩენისკენ მიმართული მცდელობა“. გადარჩენისკენ მიმავალ ერთ-ერთ მთავარ გზად მიმაჩნია ტრადიციულ ღირებულებებზე აღზრდილი ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გაერთიანება, ურყევი ნების გამოვლინება ყოველგვარი მორალური სიმახინჯის აღსაკვეთად. სასურველი იქნება, თუკი გაერთიანების გარდა ტრადიციული ფასეულობის მატარებლები მიმართავენ ასევე კონტემპლაციას (ლათ. **Contemplatio –** ჩაღრმავება, სულიერი წვდომა) თუნდაც ჩვენი ისტორიიდან გმირობის, რწმენისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის მაგალითებზე (ტექსტის კითხვის დროს ან ზეპირად), რომელიც ცნობიერებაში იბეჭდება, გადამდები ხდება და ქმედება გამოვლინდება. **Bonum factum!**



**ვიქტორ რცხილაძე**

---

„არ ველოდი ამ მოვლენებს, მაგრამ თუ საზოგადოება გადაწყვეტს (და ეს ლეგიტიმურია), ჩვენ რუსულ ცხოვრებას ვანიჭებთ უპირატესობასო, ჩვენ პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ იცხოვროთ ორ სამყაროში. ეს არის სერბული გზა. სერბეთის ლიდერი, ბატონი ვუჩიჭი ეუბნება თავის ხალხს, ჩვენ შეგვიძლია ორივე გვქონდეს. ჩვენ ძალიან მჭიდრო ისტორიული ეკონომიკური კავშირები გვაქვს რუსეთთან, მაგრამ მეორე მხრივ ფულს ბრიუსელიდან და გერმანული ინვესტიციებიდან ვიღებთ. არავითარ შემთხვევაში. თუ მმართველი პარტია მკითხავს, ვეტყვი, მეგობრებო, სერბული მოდელი არ არის წამახალისებელი,“ – განაცხადა როთმა.

✦ ✦ ✦

**ექსპერტი** სამხედრო საკითხებში **ამირან სალუქვაძე For.ge**-სთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ დასავლელი ლიდერები უვიზო მიმოსვლის საკითხს პოლიტიკურად იყენებენ. სალუქვაძე იმედს იტოვებს, რომ ევროკავშირი ამ ნაბიჯზე არ წავა:

**„როთისადმი ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის დამოკიდებულება ცნობილია. უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩამოდის და პოლიტიკურ აქციას აწყობს ხელისუფლების წინააღმდეგ – გასაგებია, რისთვისაც სჭირდებოდათ ეს, ხელისუფლების ცვლილებისთვის. ბევრი რამ შეიცვლება ევროპაში და ბევრია დამოკიდებული აშშ-ის მიერ ახალი პრეზიდენტის ქმედებებზე. იმედს ვიტოვებ, რომ აქამდე არ დაეცემიან (უვიზო მიმოსვლას არ შეგვიჩერებენ) და რუსეთს არ დაემსგავსებიან. ერთადერთი, ვინც მსგავსი რამ გააკეთა, სწორედ რუსეთი იყო“**, – განაცხადა სალუქვაძემ.

მისი შეფასებით, საქართველოში საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია, ფაქტობრივად, დასავლელმა ლიდერებმა წარმართეს და ახლაც, პროცესებში თავად ევროპელები არიან ჩართულნი. როგორც ექსპერტმა ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, თუკი ევროკავშირი საქართველოს უვიზო მიმოსვლას შეუჩერებს, ეს იქნება ქართველი ოპოზიციონერების კისერზე, რადგან მათ დაიწყეს ამ საკითხით აპელირება და პროვოცირება.

**„30 წლის წინ სხვა წარმოდგენა გვქონდა ევროპაზე, სხვა ღირებულებების ირგვლივ შეიქმნა ევროკავშირიც. არჩევნების გზით ვერ მიაღწიეს მიზანს, აქციებითაც არაფერი გამოდის – ამ შემთხვევაში რჩება ერთი სერიოზული ბერკეტი, რომლითაც ფიქრობენ, რომ ააფეთქებენ საზოგადოებას, მაგრამ არც ეს იმუშავებს, რადგან საზოგადოება ამას ჩათვლის უსამართლობად, ვისი მომხრეც არ უნდა იყოს ის.**

რუსეთმა სავიზო მიმოსვლა რომ შემოიღო და ჩვენი მოქალაქეების დეპორტაცია დაიწყო, ქართველი ხალხი არ დასაჯეს?! მხოლოდ სააკაშვილის გამო გააკეთეს და ეს არ ყოფილა ქართველი ხალხის შეურაცხყოფა?! – ზუსტად ანალოგიური ქმედებაა და ეს იქნება ქართველი ხალხის და საქართველოს შეურაცხყოფა ევროკავშირის მხრიდან.

**ფაქტობრივად, უცხოელებმა წარმართეს აქ ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანია, არჩევნების შემდეგაც ისინი აგრძელებენ. ოპოზიცია ხსნას ეძებს ქვეყნის გარეთ – რა ზომებს მიიღებს ევროკავშირი საქართველოსთან დაკავშირებით, რომ აქ საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიონ. სულ მცირე, ორი წელია, დარბიან და ითხოვენ სავიზო მიმოსვლის გაუქმებას – ეს იდეა არ მოსვლიათ თავში ევროპელებს, არც როთს და არც სხვებს, არამედ ეს არის ოპოზიციის მხრიდან მიწოდებული წინადადებები. თუ ეს მოხდება, იქნება ოპოზიციის სინდისზე, მეორე მხრივ კი, ეს იქნება სამარცხვინო ნაბიჯი ევროკავშირის მხრიდან, დაემსგავსებიან რუსეთს – სავიზო რეჟიმის გაუქმება იქნება ქართველი ხალხისთვის სილის გაწნა.**

საქართველოში უნდა გაჩნდეს ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხელისუფლებას გაუწევენ ჯანსაღ კონკურენციას – იქნება ნორმალური, პოლიტიკური პროცესი ქვეყანაში, ნორმალური დებატები, ნაკლები პოლარიზაცია და რადიკალიზაცია“, – დასძინა ამირან სალუქვაძემ **For.ge**-სთან ინტერვიუში.

**ნიკო ჩოხელი**



**ფაქტობრივად, უცხოელებმა წარმართეს აქ ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანია, არჩევნების შემდეგაც ისინი აგრძელებენ. ოპოზიცია ხსნას ეძებს ქვეყნის გარეთ — რა ზომებს მიიღებს ევროკავშირი საქართველოსთან დაკავშირებით?!**

## ტიერი მარიანი: შოკისმომგვრელია ჩვენი მოქმედება!



„ეს არ იყო დებატები. მე განხილვა მივამსგავსე ბავშვს, რომელიც ჩაუთქვამს სურვილს და გაღვიძებისას აღმოჩნდება, რომ ოცნება არ ასრულდა“, – ამის შესახებ „ქრონიკასთან“ საუბრისას ევროპარლამენტარმა ტიერი მარიანიმ განაცხადა, რითაც ევროპარლამენტში საქართველოსთან დაკავშირებით გამართულ დებატებს გამოეხმაურა.

„ევროპარლამენტში დებატებისას ამბობდნენ, რომ ასე შეუძლებელია გაგრძელება. მე გამახსენდა გერმანიის საელჩოს განცხადება, შვედეთის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება, ჩვენ ვართ დემოკრატია და უნდა მივიღოთ არჩევნების შედეგები მაშინაც კი, თუ ის არ ემთხვევა ჩვენს ოცნებას.

შოკისმომგვრელია ბევრი ჩემი კოლეგის დამოკიდებულება, რომლებსაც არ სურთ ქართველი ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანის მიღება. ეს დებატებია და შემდეგ პლენარულზე იქნება რეზოლუცია. არ ვიცი, რა ჩაიწერება. შესაძლოა იყოს ისევ სანქციების დაწესებაზე მოწოდებები. სანქციები უნდა დაუწესდეს ქართველ ხალხს თავისუფალი არჩევანის გამო? უნდა დაასანქცირონ კანონიერად არჩეული ხელისუფლება? მგონია, საბჭოთა კავშირის აზროვნება შორს იყო ჩვენგან და აღმოჩნდა, რომ არა! ქართველ ხალხს სურს ევროკავშირში გაწევრება. საქართველო უნდა იყოს ევროკავშირის წევრი“!

# თბილისის სპორტის სასახლე კვლავ დიდებული გახდება








**როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის 13 ნოემბრის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ამჟამინდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის.**

„სპორტის სასახლე უკვე ათწლეულების განმავლობაში ჩვენი ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი ობიექტია. იგი ისტორიულად იყო სპორტული, კულტურული და სოციალური ღონისძიებების ერთ-ერთი მთავარი არენა. სპორტის სასახლის შენობა წარმოადგენს მუნიციპალური საწარმოს საკუთრებას, რომელიც 2007 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, მართვის უფლებით გადაცემულია კომპანია „ლოჯიკ გრუპისთვის“. სპორტის სასახლის ახლანდელი მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, მას აქვს ძალიან ბევრი პრობლემა, ხარვეზები. შესაბამისად, საჭიროებს განახლება-რეაბილიტაციას. აღნიშნული ხელშეკრულების პირობები ვეღარ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს. ჩვენ ვიმუშავეთ შესაბამის კომპანიასთან და მინდა, მათ მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის. შევთანხმდით, რომ სპორტის სასახლე საჭიროებს რეაბილიტაციას და აღნიშნული სამუშაოები ძალიან მალე დაიწყება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, მოწესრიგდება ყველა ძირითადი სივრცე, რაც გულისხმობს იატაკის საფარის, სავარძლების, კედლების, ვიზიტორების საცირკულაციო სივრცეების, გასახდელების, VIP-შემოსასვლელის, ავეჯისა და სხვა სივრცეების მოწესრიგებას.

„იქიდან გამომდინარე, რომ სპორტის სასახლე წარმოადგენს ისტორიულ შენობას, მაქსიმალურად შენარჩუნდება ისტორიული მასალები, განსაკუთრებით ბუნებრივი ქვის მოპირკეთება. სპორტის სასახლე აღიჭურვება მისი მრავალფუნქციური დანიშნულებისთვის საჭირო მოწყობილობებითა და სისტემებით, რაც მოიცავს განათების, ხმის, ვიდეო, ეკრანის, სცენის, იატაკის საფარის, ტრანსლაციის, გამყოფ, სპეციალური ეფექტებისა და სხვა ტიპის სისტემებსა და მოწყობილობებს“...

მისივე თქმით, პროექტის ფარგლებში, ასევე, იგეგმება სპორტის სასახლის გარშემო სარეკრეაციო და ღია სივრცეების ისტორიული ფუნქციის აღდგენა.

„დღეს რაც ხდება სპორტის სასახლის ირგვლივ არსებულ ტერიტორიაზე, კატეგორიულად მიუღებელია. ძალიან მძიმე ვითარებაა, შესაბამისად, ეს ყველაფერი საჭიროებს მოწესრიგებას და განახლებას. სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა უნიკალური სარეკრეაციო სივრცე; კეთილმოეწყობა მეტროში ჩასასვლელი კიბეები და მიმდებარე ტერიტორია, ამავე ტერიტორიაზე მმართველი კომპანია გეგმავს პადელის ღია კორტების მოწყობას; მოწესრიგდება საპარკინგე ზონა და დარეგულირდება სატრანსპორტო გეგმა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე სპორტის სასახლის სტუმრებისთვის“, – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, განხორციელებული სამუშაოები შესაძლებლობას მისცემს ობიექტს, უმასპინძლოს, როგორც სპორტულ, ისე სხვა კულტურულ თუ სოციალურ ღონისძიებებს და ჰქონდეს მრავალფუნქციური დატვირთვა.

# ფოთი და ჩინური მიენიანგი დამეგობრდნენ!




**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სიჩუანის პროვინციის ქალაქ მიენიანგს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

მიენიანგი ცნობილია თავისი ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების მაღალი დონით.

მემორანდუმის ფარგლებში იგეგმება მრავალმხრივ თანამშრომლობა: ტექნოლოგიების, ეკონომიკის, განათლების და ტურიზმის მიმართულებით.

მიმდინარე წელს სიჩუანსა და საქართველოს შორის იმპორტისა და ექსპორტის საერთო მოცულობამ მიაღწია დაახლოებით 151 მილიონ **RMB**-ს, რაც 68,67%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

გარდა ამისა, ჩინეთ-ევროპის სარკინიგზო ექსპრესმა დაიწყო მარშრუტი მიენიანგიდან საქართველოში, რაც გულისხმობს ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა პროდუქციის ტრანსპორტირებას.

# გუშინ მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერა დაიწყო




14 ნოემბერს მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერა დაიწყო.

საქსტატის ინფორმაციით, აღწერის პირველი ეტაპი თვითრეგისტრაციაა.

„უკვე 23 ნოემბრის ჩათვლით შეგიძლიათ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე შეავსოთ აღწერისთვის განკუთვნილი კითხვარი: **https://census2024.geostat.ge/ka.**

კითხვარის შევსებას თქვენთვის სასურველ დროს, ინტერნეტთან დაკავშირებული ნებისმიერი მოწყობილობით შეძლებთ.

მეორე ეტაპი 29 ნოემბერს დაიწყება და 19 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება. ჩვენი ინტერვიუერები კარდაკარის პრინციპით ჩაატარებენ გამოკითხვას.

აღწერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებისთვის. ამიტომ ამ პროცესში თითოეული ჩვენგანის ჩართულობა განსაკუთრებულად საჭიროა“.

# საქართველო მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ ღონისძიებაზე




**ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ცნობით, საქართველო ღონისძიებაზე მათი სააგენტოსა და „აწარმოე საქართველოს“ თანამშრომლობის ფარგლებში, მასშტაბური სივრცით არის წარმოდგენილი.**

ამასთან, მათივე ცნობით, ღონისძიებაში მონაწილეობა **StartUP in Georgia**-ს ინიციატივით დაიგეგმა, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე სტარტაპების განვითარებას უწყობს ხელს.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ცნობით, აღნიშნული ინიციატივა აერთიანებს ყველა აქტივობას, პროგრამას, მხარდაჭერის მექანიზმსა თუ ღონისძიებას, რომელიც ქვეყნის ფარგლებში ტარდება ეკოსისტემის და ინოვაციების საზოგადოების განვითარების მიზნით. ასევე, სამიტზე წარდგებიან ქართული სტარტაპები: **Awork, Helio, Klipy, Wempler** და სხვები.

ინფორმაციის თანახმად, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში მიმდინარე ჭებ შუმმიტ 2024 მასპინძლობს 160 ქვეყნიდან 70 000-ზე მეტ მონაწილეს, მათ შორის ასეულობით სტარტაპს, ტექნოლოგიურ კომპანიასა თუ სახელმწიფო ორგანიზაციებს მთელი მსოფლიოდან.

# გასტრო ფორუმი აჭარის დედაქალაქში

**აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, ღონისძიების ფარგლებში ბათუმს მიშლენის ვარსკვლავის მქონე რესტორნების შეფები და გასტრონომიის საერთაშორისო ექსპერტები საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან და შვეიცარიიდან ესტუმრებიან. ფორუმის პირველ დღეს, ისინი ცნობილ ქართველ შეფებთან და ექსპერტებთან ერთად ავთენტიკური კულინარიისა და თანამედროვე გასტრონომიის შესახებ ისაუბრებენ, მეორე-მესამე დღეს კი ჩატარდება კულინარიული მასტერკლასები ადგილობრივი მზარეულებისთვის. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი გასტრო ფორუმს რეგიონში გასტრონომიული ტურიზმის განვითარების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და აჭარული კერძების სარესტორნო ქსელებში დანერგვის მიზნით ატარებს.**

წელს, „გასტრო ბათუმის“ მთავარი სპიკერები მიშლენის ვარსკვლავის მფლობელი რესტორნების შეფები და რესტორატორებია. მათ შორისაა გასტრონომიის საერთაშორისო ექსპერტი სებასტიან რიპარი, საფრანგეთის კულინარიისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის უმაღლესი სკოლის „**FERRANDI Paris**“ შეფ ინსტრუქტორი სტეფან იაკიჩი, ამავე სკოლის საერთაშორისო პროექტების მენეჯერი ნიკოლოს კალიარდი, ასევე მსოფლიო მასშტაბით აღიარებული კონდიტერი ნიკოლა გერსოი და საერთაშორისო კულინარიის ექსპერტი ბერტრან ვალეჟა. ადგილობრივ სპიკერებს შორის იქნებიან ბრენდ შეფი, მანუელ ფაუნდეს ბარანდა, „წისქვილი ჯგუფის“ ბრენდ შეფი ალექსანდრე ნათაძე, სასტუმრო „ბიზნესის“ ექსპერტი მაია წერეთელი, **Gault&Millau** საქართველოს დამფუძნებელი მია კუპრავა და რესტორანი „ოცის“ შეფ მზარეული და დამფუძნებელი გიორგი ნინუა.

17-18 ნოემბერს, მიშლენის ვარსკვლავის მქონე რესტორნების შეფები ადგილობრივი მზარეულებისთვის ჩაატარებენ თევზის, ხორცისა და კონდიტერიის მასტერკლასებს. ფორუმის ფარგლებში ასევე იგეგმება ვიდეორეცეპტების მომზადებაც. მათი ნახვა მსურველებს **serviceajara.ge**-ზე შეეძლებათ. ფორუმზე დასწრება ადგილობრივ შეფებს, მზარეულებს, რესტორატორებს და ზოგადად, გასტრონომიულ ტურიზმში ჩართულ პირებს შეუძლიათ.



ახლახან გამოვიდა მერაბ თევზაძის პოეტური კრებული „სინათლე მოდის ბეთლემით“.

კრებულის წინასიტყვაობა დაწერა ცნობილმა კრიტიკოსმა მურმან თავდიშვილმა.

დღეს გთავაზობთ ამ წინასიტყვაობას, როგორც ლაკონურ, სხარტ რეცენზიას შესანიშნავი პოეტის შემოქმედებაზე. (მხატვარი – რეზო ადამია).

# მისი პოეზიის გემი

**ეს პოეტური კრებული იწყება გულწრფელი წინათქმით:**

*ხელთ მეპყრა ქნარი, თარი, ქამანჩა:*
*სიმღერით მოვვლე გზები ურიცხვი,*
*და ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა,*
*ვხარჯე და ვხარჯე სიყვარულისთვის!*
*წინ ბილიკები დავიქვიანე,*
*ვკრიფე მაღნარში ალადასტური...*
*მე ყველაფერში დავიგვიანე, -*
*ეს წიგნიც არის ამის დასტური!*

დასტურ ასეა: ოცი-ოცდახუთი წლის წინათაც ვეხვეწებოდი, ძმაო, მერაბ, ნაღდი პოეტი ხარ, მოდი, შევკრიბოთ შენი „წყობილი მარგალიტი“ და განვაწიგნოთ-მეთქი!

არა და არ დამიჯერა, გამიჯიუტდა. ამ მხრივ, პოეტური სიტყვისადმი მოკრძალებით, იგი მე უკვდავ მგოსან ლაშა გახარიას მაგონებს და ქართულ პარნასზე არ ვიცნობ სხვა კალმოსანს, ამ ორის მსგავსად ითრევდეს ფეხს და მხატვრული ნააზრევის, თანაც მშვენიერი პოეტური ნასიტყვის, გამოქვეყნებას ერიდებოდეს.

არადა, რა „მსუბუქმქროლად“ შეუძლია თქვას სათქმელი და გული გაგინათოს:

*როგორც ტყეში სოკო*
*ნაწვიმარზე – იჩქითად*
*ჩვენი უბნის გოგო*
*ისე წამოიჩიტა.*

და რა ბუნებრივად ენაცვლება ამგვარ ფრთამსუბუქ თქმებს მძიმე ნაფიქრი, ძნელად დასაურვებელი პოეტური ფიგურა, რომელიც ღრმა აზრს იტევს: „და დამნაშავე, ასე მგონია, დღემდე წაგებულ ყველა ომში ვარ“, ხოლო სვეტიცხოვლის ახლორე ჩავლაც კი ასე მნიშვნელოვან სახეს ჰბადებს: „აქ ასვენია ქრისტეს პერანგი, შიგ სისხლიანი წევს საქართველო“, აქვე, ამავე წიგნშივე, გულის ნათელს გიპოვის სხვა, საბარათაშვილე მხატვრული ფიგურა, დაუვიწყართა რიგის ნათქვამი: **„განჯის მიწამ შთანთქა ვინმე მხედარი, გენიოსი მიიბარა მთაწმინდამ“**. ან კიდევ ამ ფიგურას ვინ რას დაუწუნებს – **„ზის კერიასთან ნატა ბებია და საუკუნის თვლემს სიმძიმილი“**, ამ კრებულშივე იხილავთ,




თუ რაგვარ **„ბორბლები წელზე იხვევენ რელსებს“**, ხოლო აჩრდილებად დაშთენილი მშობლების სევდა აგიყოლიებთ, როს ამ ტაეპებს გაუფცქვნით გემოს:

*ვხედავ: ოთახში ტკბილი ბოლია,*
*ისევ ცხელია კერის ღადარი:*
*შენ ხომ ვერ მეტყვი, ჩემო ბროლია,*
*დედა სად არის, მამა სად არის?!*

ყველა თანახმა გამიხდება, თუ ვიტყვი, რომ ასე და ამგვარად მხოლოდ ტიციანი თუ იფიქრებდა, სხვა – არავინ:

*სამარისათვის ერთი ლუკმა ვარ,*
*სამშობლოსათვის ვარ უსაშველო.*

ავტორს, პროფესორ მერაბ (ვასილ) თევზაძეს, არც დაუვიწყარი ბოლორითმის მიგნება უჭირს (აქა ნავებს – აქანავებს) და არცა თავრითმისა:

*უდენია ფერებს*
*მირაჟების ტილოზე;*
*უთენია მერე*
*სირაჯები ტიროდნენ.*

და, რაც გაოცებას იწვევს, ფიროსმანისადმი მიძღვნილ ამ სტროფში ყველა სიტყვა ერთმანეთს ერითმება: პირველი კარედის რითმებია: უთენია – უდენია; მირაჟების – სირაჯების; მეორე კარედისა: ფერებს – მერე; ტილოზე – ტიროდნენ, და, მიუხედავად ამისა, მაინც არ იგრძნობა ხელოვნურობის ნასახი, ღვლარჭნილობის ერთი ცახეც კი!

არადა ყველამ კარგად უწყის: ღვლარჭნილობა და სიყალბე პოეზიაში – ეს არის საფეთქელთან მიტანილი პისტოლეტი!

მაინც რა იწვევს ბუნებრივ მეტყველებას? რა თქმა უნდა, რეალურად განცდილი, ნაგრძნობი, ის, რაც სიღრმისეულია, გულიდან ხორცად გამონატანია, სწორედ ამ დროს იბადება ასეთი ტაეპები:

*ჩქეფდა მაინც სიცოცხლე,*
*მწიფდა ვაზი ხარდნის;*
*წლეებმა ამოიცოხნეს*
*იმ ცხოვრების მადლი.*
*აღარც თეთრი ბალია,*
*აღარც ძველი სკამი;*
*გულში ეკლად გამიარს*
*მოგონება მამის.*

ამ უარუთქმელ განცდებს, სევდის ფიორი რომ თანა სდევს, ჟამიდან ჟამზე პატრიოტული ოპტიმიზმი შეერევა:

*შმაგი თერგის დარად*
*მივიმსხვრევი ფიქრებად;*
*საქართველო მარად*
*იყო, არის, იქნება!*

და ის, რაც მთავარია: მხატვრული აზროვნება, სახეობრივი ამოცანის გადაწყვეტა, რაც ქართული ლექსის გადარჩენის მთავარი პირობაა და საზოგადოდ, პოეტური აზროვნების საფუძველი. აი, აქ როგორაა საქმე? – შეიძლება იკითხოს მავანმა. შემიძლია დავამშვიდო: აგერ პასუხიც:

*ისე მორბის ნაკადული,*
*შემომახტეს წელზე ლამის...*

თვალი გამირბის სხვა პოეტური სახისკენაც: „ყვიბისთან მტკვარი მტკვარს დაეწია“ – ისე ბუნებრივად იტყვის პოეტი, თითქოსდა უჩვეულო არც არაფერი ეთქვას და ყველაფერი ეს ისე ბუნებრივია, როგორც ხიდან ხეზე ჩიტის გადაფრენა, როგორც რომ ალაზნის ლოგინს დასტოვებს და ცაში კვნესით შესცურავს წერო...

მკითხველს ვუმხელ იმას, რაიც კარგად ვიცი: მერაბ თევზაძისათვისაც სინათლე ბეთლემიდან მოდის, გვემისა და ტყეპის ჯანღი – გოლგოთიდან. ამიტომაცაა, ასე ბუნებრივად ნათქვამი რომ გამოსდის ეს სიტყვებიც:

*სინათლე მოდის ბეთლემით,*
*გოლგოთით – ჯანღი გვემის;*
*ზღვაში კაცობის ემბლემით*
*დაცურავს ჩემი გემი.*

დღემდე ჩვენს შორის, ჩვენი ცოდვის ღელვით აღძრულ ცხოვრების ზღვაში (გრიგოლ ხანძთელი) დაცურავდა მერაბ თევზაძის ცხოვრების გემი. მწამს, ამიერიდან იგი ჩვენი პოეზიის ლამაზად აქოჩრილ ზღვაშიც დაიწყებს ცურვას.

**მურმან თავდიშვილი**



**12 ნოემბერს ჩვენი კოლორიტული ძმის, ნაღდი პოეტის ჩალაბას დაბადების დღე იყო. მას 75 წელი შეუსრულდებოდა...**

## თემურ ჩალაბაშვილი

### საუბარი გულთან

*თეთრი აპრილის სუნთქვა მაწვალებს*
*და ცეცხლად მიქცევს ჭაბუკ იმედებს.*
*გულო, რა მოხდა, ცოტა მაცალე,*
*გულო, რა მოხდა, ნუ გამიმეტებ.*
*ჯერ შემოდგომის ქარით ვფითრდები,*
*ზამთრის ყინვაში როგორ დავსახლდე.*
*გულო, რა მოხდა, რატომ ფითრდები,*
*იქნებ არ მოგწონს შენი სასახლე,*
*იქნებ არ გჯერა ჩემი ოცნების,*
*აღარ გსურს ჩემთან ერთად იარო?*
*როგორ გივლიდნენ ძველი მგოსნები,*
*მითხარ, რომ ისე მეც მოგიარო.*
*მეც გიმეგობრო ისე ერთგულად,*
*რომ სატირალზე აღარ გატირო,*
*ისე მოვიქცე, რომ ჩემთან ყოფნა*
*და სიყვარული არ ითაკილო.*
*ჯერ მსურს აგიგო რწმენის ტაძარი,*
*ხმა მოგაწვდინო ცისკრის ზარების,*
*მერე დამიგზნე ტრფობის ხანძარი,*
*ჯანდაბას, ნუღარ დაგენანები....*

1976.

### ყველასთვის საყვარელი პოეტი

თემურ ჩალაბაშვილის
„საუბარი გულთან“

*კარგა ხანია, თბილისის ბომონდს*
*პოეზიისთვის არ მოუცლია,*
*„დაუძინებელ მეგობრის“ ცდებით*
*კარზე მოგვადგა რევოლუცია,*
*ამ დროს... ყველასთვის საყვარელ პოეტს*
*ახალი წიგნი გამოუცია.*
*„ილიას სახლში“ არ იყო ტევა,*
*დაგვტრიალებდა „თანამდევი*
*უკვდავი სული“,*
*იყო ქართული სიმღერა და*
*ქართული ცეკვა,*
*მისალმებები – ექსპრომტად თქმული.*
*მოგვენატრებია, თემურ, ერთურთი,*
*ამ სიყვარულმა გამითბო გული*
*და დაიბადა ახალი ლექსი,*
*შენი ლექსებით შთაგონებული...*

**ვლადიმერ ჭანტურიძე**
16.03.2023.



# ზურაბ გიკაშვილის გამონათება

**15 ნოემბერს „ათინათის“ კულტურის ცენტრი ერთ-ერთი გამორჩეული მხატვრის – ზურაბ გიკაშვილის გამოფენას უმასპინძლებს.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება 30-მდე ნამუშევარი ATINATI'S და მხატვრის პირადი კოლექციებიდან. ზურაბ გიკაშვილი 1990-იანი წლების იმ ქართველი მხატვრების ჯგუფის ცნობილი წარმომადგენელია, რომელთა ნახატები გამოირჩევიან დახვეწილი ფერწერის ტექნიკით. ერთ-ერთი პირველი ჯგუფური გამოფენა მას აკადემიის დამთავრებისთანავე 1992 წელს ჰქონდა, იტალიის თანამედროვე ხელოვნების „ჯიბელინას“ მუზეუმში.

ზურაბ გიკაშვილის ყველა ნახატი ექსპრესიულია – ერთი შეხედვით, მშვიდი და იდილიური პეიზაჟებიც კი, ყურადღებით შესწავლისას გარკვეულ სევდას იწვევენ. გიკაშვილი სხვადასხვა თემატიკისა და ფორმატის ნამუშევრების ავტორია. თითოეულს უნიკალური სტილი და განწყობა აქვს. ნამუშევრები, რომელთა მიზანი ატმოსფეროს შექმნაა, ობიექტები ზუსტი წესრიგით არის დალაგებული, სინათლე ზოგიერთ შემთხვევაში ასხივებს, ზოგან ჩრდილებით ქმნის სიმყუდროვეს. ეს შეიძლება იყოს რიტუალი ან უცნაური შეკრებები, სადაც ფატალურობის განცდა რჩება დამთვალიერებელს. აქ დაბნეული და უმწეო ადამიანების, ცხოველების თუ ობიექტების სპონტანური ერთობაა ასახული, რომლებიც თითქოს უნებურად იკრიბებიან გიკაშვილის შექმნილ სამყაროში. ეგზისტენციალური აქცენტებია დასმული ზურაბ გიკაშვილის პორტრეტებსა და ავტოპორტრეტებშიც. ის მედიტაციისა და თვითკონცენტრაციის საშუალებით გამოხატავს საკუთარ თავს.

ზურაბ გიკაშვილი 1961 წელს ყვარელში დაიბადა. სწავლობდა თელავის სამხატვრო სკოლაში, შემდეგ თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სკოლაში, ბოლოს კი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა (დაამთავრა 1992წ). სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული ზურაბ გიკაშვილი სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობდა. მისი ნამუშევრები გამოიფინა ლონდონის სამეფო აკადემიის საზაფხულო გამოფენაზე 2000 წელს. ზურაბ გიკაშვილი 2009 წლის პრაღის ბიენალეზე საქართველოს წარმოადგენდა. მისი შემოქმედება ადგილობრივ და საერთაშორისო კოლექციებშია დაცული.

# ეროვნული მოღვაწე — ფინეთის პრემიერ-მინისტრი



**ფინეთის პრემიერ-მინისტრი, 55 წლის ანტი პეტერ ორპო სოფელში, პედაგოგების ოჯახში დაიბადა. მამამისი სოფლის ლიდერი და ეროვნულ-კოალიციური პარტიის წევრი იყო. პეტერიმ ფინეთის სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა და თადარიგის ოფიცერი გახდა. ახლა, რეზერვის კაპიტანია. ჯარი რომ მოიარა, ტურკუს უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და დარგის მაგისტრის ხარისხიც მოიპოვა.**

მისი პოლიტიკური ორიენტაცია სტუდენტობაშივე გამოიკვეთა. იგი ჯერ უნივერსიტეტის, მოგვიანებით კი, მთელი ქვეყნის სტუდენტურ კავშირს ედგა სათავეში. უნივერსიტეტში სწავლის დროს, მამამისის კვალდაკვალ, ეროვნულ-კოალიციურ პარტიაში გაწევრდა, რომელიც ფინეთის უძველესი პოლიტიკური ძალაა. პოლიტიკური გაერთიანება 1917-დან 1919 წლამდე, ანუ ფინეთის დამოუკიდებლობის დასაწყისიდანვე, ქვეყნის მმართველი პარტია იყო. მისი იდეოლოგია მემარჯვენე ცენტრისტულია. 28 წლის ანტი პეტერ ორპო ქალაქ ტურკუს საკრებულოს წევრად, ერთი წლის შემდეგ კი, ეროვნულ-კოალიციური პარტიის სამხრეთ-დასავლეთის მხარის ხელმძღვანელად აირჩიეს. 2002-03 წლებში ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ვილ იტალიას თანაშემწე იყო. ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში პარტიის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა. მერე, ქალაქ ტურკუს განათლების ცენტრს მართავდა. 2007 წელს, ანტი პეტერ ორპო ფინეთის პარლამენტის წევრი გახდა და ორი მოწვევის დეპუტატი იყო.

იგი, სხვადასხვა დროს, პარლამენტში, სხვადასხვა კომიტეტების წევრი და ხელმძღვანელი იყო. 2014 წელს ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრ სტუბმა პეტერ ორპო ფინეთის სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნა. მომდევნო წლის საპარლამენტო არჩევნებში, ეროვნულ-კოალიციური პარტია მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა. არჩევნებში, კონსერვატულ-ცენტრისტულმა პარტიამ, ფინურმა ცენტრმა, გაიმარჯვა, თუმცა, ქვეყნის დამოუკიდებლად სამართავად, საკმარისი რაოდენობის დეპუტატი არ ჰყავდა. ამიტომ სამი პარტიისგან შემდგარი მმართველი კოალიცია შეიქმნა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ფინური ცენტრის ლიდერი იუჰა სიპილე გახდა, რომლის კაბინეტში ანტი პეტერ ორპოს ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი ერგო. მისი მინისტრობის დროს მიგრანტთა შესახებ კანონი გამკაცრდა და სამინისტრომ წარმატებით გაართვა თავი არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას.

2016 წელს ეროვნულ-კოალიციური პარტიის ლიდერის არჩევნები ჩატარდა, რომელშიც მთავარი კანდიდატები ექს-პრემიერი ალექსანდრ სტუბი და მინისტრი ანტი პეტერ ორპო იყვნენ. ორპომ არჩევნები დამაჯერებლად მოიგო და პარტიის ლიდერი გახდა. 2016 წელს პრემიერ მინისტრმა იუჰა სიპილემ ანტი პეტერ ორპო ფინანსთა მინისტრად დანიშნა. ეს თანამდებობა მას 2019-წლამდე ეკავა. 2019 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მოულოდნელად, სოციალისტები გავიდნენ პირველ ადგილზე. ანტი პეტერ ორპოს პარტიამ, მისი მეთაურობით, მესამე ადგილი დაიკავა. სოციალისტების ლიდერმა სანა-მარინმა მმართველი კოალიციის შექმნა სცადა.

მან კოალიციაში ანტი პეტერ ორპოს პარტიაც მიიწვია, მაგრამ ორპომ მომავალ პრემიერ-მინისტრს ცივი უარი განუცხადა. ამგვარად, ორპო და მისი პარტია ოპოზიციაში გადავიდნენ. 2023 წლის საპარლამენტო არჩევნებში ანტი პეტერ ორპოს პარტიამ მმართველი სოციალისტების პარტია დაამარცხა, თუმცა, ქვეყნის სამართავად, ეროვნულ კოალიციურ პარტიასაც დასჭირდა კოალიციის შექმნა. ორი თვის მოლაპარაკების შემდეგ ეროვნულ-კოალიციურმა პარტიამ, ანტი პეტერ ორპოს ლიდერობით, ოთხპარტიული კოალიცია შექმნა, რომელშიც მისი პარტიის გარდა, ჭეშმარიტი ფინელები, ქრისტიან-დემოკრატები და ეროვნული უმცირესობის შვედეთის სახალხო პარტია შევიდა. 2023 წლის 20 ივნისს ფინეთის პარლამენტმა ანტი პეტერ ორპო რესპუბლიკის ახალ პრემიერ-მინისტრად დაამტკიცა. ის ფინეთის 47-ე პრემიერი გახდა.

შიდა პოლიტიკაში, ახალი პრემიერი, ფინეთის სახელმწიფო ვალის, ბიუჯეტის დეფიციტისა და ზოგიერთი გადასახადის შემცირების მომხრეა. ის თავის ფინანსურ პოლიტიკას ფისკალურ-კონსერვატულს უწოდებს. ორპოს მთავრობამ სოციალური დახმარების შეკვეცა, უმუშევართა ფინანსური დახმარების მიღების პირობების გამკაცრება, კერძო სექტორში სამსახურიდან გათავისუფლების გამარტივება და მოკლევადიანი კონტრაქტების უფლების შემოღება გადაწყვიტა. მიგრანტთა საკითხში, ანტი პეტერ ორპო კვლავაც ხისტი პოლიტიკის გატარების მომხრეა.

**მისი ინიციატივით, პარტიამ, ფინეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ექს-პრემიერ-მინისტრი ალექსანდრ სტუბის კანდიდატურა წამოაყენა, რომელმაც გაიმარჯვა და თებერვლიდან, ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. საგარეო საკითხებში ანტი პეტერ ორპო ძლიერი ევროპისა და ნატოს მომხრეა. ის ყველაფერს აკეთებს, რომ ფინეთმა ნატოში მძლავრი და სანდო პარტნიორის სახელი დაიმკვიდროს. იგი უკრაინის უწყვეტ და უანგარო დახმარებას უჭერს მხარს. მისი თქმით, დღეს, უკრაინა მისი და სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობისთვის და კარგად ყოფნისთვის იბრძვის. მისი თაოსნობით, ფინეთის მთავრობამ რუსეთთან საზღვრის მთლიანად ჩაკეტვა გადაწყვიტა. ამ დროს ფინეთი რუსებისთვის დასასვენებლად და საშოპინგოდ ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი ადგილი იყო.**

ანტი პეტერ ორპო მეორე ქორწინებაშია. მისი ახლანდელი მეუღლე ნინა კანიენ ორპო ცნობილი იურისტია. წარსულში პროკურორი იყო. წყვილი 2003 წელს დაქორწინდა და მათ ორი შვილი ჰყავთ.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

# ბავშვებზე ძალადობის საქმე და სკანდალი ინგლისის ეკლესიაში!

**ბავშვებზე ძალადობის საქმესთან ინგლისის ეკლესიის კავშირის შესახებ გავრცელებული ცნობების ფონზე, კენტერბერის არქიეპისკოპოსმა ჯასტინ ველბიმ განაცხადა, რომ თანამდებობას დატოვებს.**



როგორც „ბიბისი“ წერს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ველბიმ 2013 წელს პოლიციას არ შეატყობინა ადვოკატისა და მქადაგებლის, ჯონ სმიტის მიერ ბავშვებსა და მამაკაცების მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ.

„ნათელია, მე უნდა ვიღებდე როგორც პირად, ასევე ინსტიტუციურ პასუხისმგებლობას. მიმაჩნია, რომ გადადგომა ინგლისის ეკლესიის საუკეთესო ინტერესებშია. იმედი მაქვს, ეს გადაწყვეტილება ცხადყოფს, თუ რამდენად სერიოზულად უდგება ინგლისის ეკლესია ცვლილებების აუცილებლობას და ჩვენს ღრმა ვალდებულებას, შევქმნათ უსაფრთხო ეკლესია“, – განაცხადა ჯასტინ ველბიმ.

პრემიერ-მინისტრის კირ სტარმერის პრესმდივანმა განაცხადა, რომ პრემიერი პატივს სცემს მიღებულ გადაწყვეტილებას და მისი ფიქრები ყველა მსხვერპლთანაა. „ბიბისის“ ინფორმაციით, ჯერჯერობით უცნობია, როდის დატოვებს არქიეპისკოპოსი თანამდებობას, თუმცა შემცვლელის მოძიების პროცესი სავარაუდოდ, სულ მცირე, ექვს თვეს გაგრძელდება.

ცნობისთვის, ჯონ სმიტი იყო ცნობილი ადვოკატი და მქადაგებელი, რომელიც ახალგაზრდა ქრისტიანებისთვის საზაფხულო ბანაკებს მართავდა. ანგარიშის თანახმად, მან 1970-80-იან წლებში ბანაკებში გაცნობილი 30-მდე ბიჭზე იძალადა!!! შემდგომში სმიტი – ზიმბაბვეში, ხოლო მოგვიანებით სამხრეთ აფრიკაში გადავიდა, სადაც სავარაუდოდ კიდევ 85-100-მდე 13-დან 17 წლამდე ასაკის ბიჭზე იძალადა!

იგი 2018 წელს კეიპტაუნში გარდაიცვალა 75 წლის ასაკში.

# „თალიბებმა“ მსჯავრდებული საჯარო სიკვდილით სტადიონზე დახვრიტეს



**13 ნოემბერს ავღანეთში, პაქტიის პროვინციაში, ქალაქ გარდეზის სტადიონზე, მკვლელობისთვის ადრე ნასამართლევი ადამიანის საჯარო სიკვდილით დასჯა გაიმართა. რადიო თავისუფლების ავღანური სამსახურის ინფორმაციით, სტადიონზე ათასობით ადგილობრივი მცხოვრები შეიკრიბა სიკვდილით დასჯის სანახავად. მსჯავრდებულს გულმკერდის არეში სამჯერ ესროლეს. გავრცელებული ინფორმაციით, სიკვდილმისჯილს ტყვია ესროლა იმ მამაკაცის ოჯახის წევრმა, რომლის მკვლელობისთვისაც გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი.**

უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც ავღანეთის ხელისუფლებაში მყოფი რადიკალური „თალიბანის“ მოძრაობა აკონტროლებს, გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ვინაიდან მსჯავრდებულმა თავისი მსხვერპლი ტყვიით მოკლა, ის დაისაჯა იმავე მეთოდით, როგორც ამას შარიათის კანონი მოითხოვს. სასიკვდილო განაჩენი „თალიბანის“ ლიდერმა მოლა ჰაიბატულა ახუნზადამ დაამტკიცა. სიკვდილით დასჯას ესწრებოდა „თალიბანის“ მიერ დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრი სირაჯუდინ ჰაკანი.

სასტიკი მმართველობით ცნობილი, არაერთი ტერაქტის ორგანიზატორი „თალიბანი“ ავღანეთის ხელისუფლებაში 2021 წელს დაბრუნდა, მას შემდეგ, რაც ქვეყანა დატოვეს აშშ-ის ხელმძღვანელობით მოქმედი საერთაშორისო კოალიციის სამხედრო ძალებმა.

2021 წელს ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, „თალიბანმა“ მუსიკა აკრძალა და ცხადად გამოხატა, რომ პირის გაპარსვასა და წვერის გაკრეჭას ისლამური კანონებისა და ღირებულებების თავისი მკაცრი ინტერპრეტაციის დარღვევად მიიჩნევს.

კერძოდ, მკაცრი შეზღუდვები შეეხო ქალთა უფლებებს. აღდგა საჯაროდ სიკვდილით დასჯის პრაქტიკა, რომელსაც „თალიბანი“ ფართოდ იყენებდა 1996-2001 წლებში, როდესაც ის პირველად აკონტროლებდა ავღანეთის დიდ ნაწილს.

# სევასტოპოლში რუსეთის მაღალჩინოსანი სამხედრო ააფეთქეს

**ოკუპირებულ სევასტოპოლში საკუთარ ავტომობილში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემების შტაბის უფროსი ვალერი ტრანკოვსკი ააფეთქეს. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.**



წინასწარი ვერსიით, ავტომობილზე დამონტაჟებული იყო ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დისტანციურად იმართებოდა.

უკრაინული მედია წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ეს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის სპეცოპერაცია იყო. უკრაინისთვის ტრანკოვსკი ომის დამნაშავეა.

მედია წერს, რომ სწორედ ის გასცემდა უკრაინის ქალაქების დაბომბვის ბრძანებას და ის ხელმძღვანელობდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემებიდან უკრაინის სამოქალაქო და ენერგოინფრასტრუქტურაზე სარაკეტო იერიშებს.

# უზნეობის ზეიმი გაგანია ომში!..

**„კიევპრაიდი“ ფესტივალის თარიღს არ ცვლის, მიუხედავად იმისა, რომ ის ჰოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს ემთხვევა!!!**

**ერთი კვირის წინ არასამთავრობო ორგანიზაციამ „კიევპრაიდმა“ გამოაცხადა, რომ 23-24 ნოემბერს გამართავს საქველმოქმედო-საგანმანათლებლო ფესტივალს, სახელწოდებით „ქვიარპროპაგანდა ფესტი“. თარიღი ჰოლოდომორის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს ემთხვევა, რომელიც ყოველწლიურად ნოემბრის მეოთხე შაბათს აღინიშნება.**




როგორც „კიევპრაიდის“ „ინსტაგრამის“ პოსტშია აღნიშნული, საზოგადოების აღშფოთების მიუხედავად, ორგანიზატორები ღონისძიებას არც გააუქმებენ და არც გადადებენ.

„მადლობას ვუხდით ყველას, ვინც აზრი გამოთქვა და გვსურს, ვუპასუხოთ ყველაზე აქტუალურ კითხვებს. ფესტივალის ღონისძიებები ისე დავგეგმეთ, რომ ღირსშესანიშნავი თარიღები არ შეგვიმოწმებია. დღეს ამას არ გავაკეთებდით, მაგრამ 23-24 ნოემბრისთვის დაგეგმილი ფესტივალი, ხსოვნის ტრადიციისთვის პატივისცემის გამოხატვით, მაინც გაიმართება. დეტალურ განრიგს უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებთ“, – აცხადებენ „კიევპრაიდის“ ორგანიზატორები.

მათივე თქმით, ფესტივალის ყველა მონაწილე წუთიერი დუმილით შეუერთდება გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად გამართულ კამპანიას – „აანთეთ მეხსიერების სანთელი“.

„ჩვენ ერთდროულად ვართ ლგბტქ+ საზოგადოების წარმომადგენლები და უკრაინელები – ორივე ეს იდენტობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია“, – აღნიშნავს „კიევპრაიდი“.




# არსებობენ თუ არა პლანეტა ურანზე თევზები?!



**პლანეტა ურანი და მისი ხუთი თანამგზავრი შესაძლოა არც თუ ისეთი უსიცოცხლოები აღმოჩნდნენ, როგორც ეს ადრე ითვლებოდა, – წერს BBC.**

ბოლო მონაცემებით, რომლებიც მეცნიერებმა კოსმოსიდან მიიღეს, არ არის გამორიცხული, რომ პლანეტა ურანის ზედაპირის ქვეშ, შესაძლოა, არსებობდეს ოკეანეები, მის თანამგზავრებზე კი სიცოცხლისთვის შესაფერისი პირობები იყოს.

ურანის შესახებ პირველი ინფორმაცია 40 წლის წინ გაჩნდა, როდესაც NASA-ს კოსმოსური მისიის აპარატმა „ვოიაჯერ-2“-მა შეძლო პლანეტა ახლოდან დაეთვალიერებინა, თუმცა აქ გაირკვა ერთი დეტალი – კოსმოსური აპარატის ურანთან მიახლოება დაემთხვა მზის ძლიერ ქარიშხალს, შედეგად მეცნიერებმა საკმაოდ დამახინჯებული მონაცემები მიიღეს. შესაბამისად, მკვლევრებს ჩამოუყალიბდათ არასწორი წარმოდგენა ამ პლანეტარული სისტემის შესახებ.

„ეს შედეგები მიუთითებენ იმას, რომ ურანის პლანეტარული სისტემა, შეიძლება იყოს ბევრად უფრო საინტერესო, ვიდრე ეს აქამდე იყო მიჩნეული. თანამგზავრებზე შეიძლება იყოს სიცოცხლისთვის შესაფერისი გარემო, მათი ზედაპირის ქვეშ კი შესაძლოა, ჩქეფს ოკეანე, რომელიც თევზებითაა სავსე“, – განაცხადა ბრიტანელმა მეცნიერმა უილიამ დანმა.

NASA-ს მეცნიერი ლინდა სპილკერი მოხარულია, რომ ურანის პლანეტარულ სისტემაში თეორიულად მაინც შესაძლებელია სიცოცხლისთვის შესაფერისი პირობები არსებობდეს.

ათ წელიწადში NASA გეგმავს გაუშვას ურანისკენ ახალი მისია, რათა მისი პლანეტარული სისტემა მეცნიერებმა უფრო კარგად შეისწავლონ. სპეციალისტების გათვლებით, ახალი კოსმოსური აპარატი ურანამდე 2045 წლისთვის მიაღწევს.

# პომპეის საიდუმლოება

**პომპეიში ჩამარხულ-ჩაფერფლილ ადამიანთა დნმ-ის კვლევა თავდაყირა აყენებს ბევრ წარმოდგენას უძველესი ქალაქის შესახებ**



**ახალი წელთაღრიცხვის 79 წელს, ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად ქალაქ პომპეის განადგურება ერთ-ერთი ყველაზე კარგად აღწერილი კატასტროფაა კაცობრიობის ისტორიაში. წვიმასავით წამოსულმა ფერფლმა და პემზამ მომაკვდავ ადამიანთა კვალი საუკეთესოდ შემოინახა. ისინი დროში გაიყინნენ იქვე, სადაც დაეცნენ და ეს ფაქტი ამ ხალხის ვინაობისა და ურთიერთობების დადგენის საშუალებას გვაძლევს.**

თუმცა, ჩვენ, ადამიანები, არასრულყოფილნი ვართ. ვიმყოფებით სამყაროში, რომელიც სავსეა მოლოდინებითა და მიკერძოებებით, რაც ჩვენს დაკვირვებებს ბინდავს, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ ობიექტურობის დაცვა. პომპეიში დაღუპულ ადამიანთა დნმ-ის ახალი ანალიზები ცხადყოფს, რომ მცდარი იყო ჩვენი შეხედულებები მათ შესახებ. ეს აღმოჩენა წარმოდგენას გვიქმნის პომპეის ხმაურიანი ცხოვრების შესახებ, ვიდრე მას ვულკანი სამუდამოდ ჩააქრობდა.

**„ჩვენ მიერ მიღებული სამეცნიერო მონაცემები ყოველთვის არ შეესაბამება ზოგად ვარაუდებს. მაგალითად, ერთი გამორჩეული აღმოჩენაა ადამიანი, რომელსაც ოქროს სამაჯური უკეთია და თან ბავშვი უჭირავს; ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ ისინი დედაშვილი იყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი კაცი და ბავშვი იყვნენ და ერთმანეთთან არანაირი ნათესაობა არ აკავშირებდათ. ასევე, ორი ინდივიდიდან, რომლებიც დებად ან დედად და ქალიშვილად მიიჩნეოდნენ, ერთი მამაკაცი აღმოჩნდა. ეს აღმოჩენები ეჭვქვეშ აყენებს ტრადიციულ ვარაუდებს გენდერისა და ოჯახის შესახებ“, – ამბობს ჰარვარდის უნივერსიტეტის გენეტიკოსი დევიდ რაიხი.**

ვეზუვის ამოფრქვევის შემდეგ პომპეიში ჩაღვრილმა ვულკანურმა მასალებმა ხორხის განმარხება გამოიწვია. ამ მასალებმა მკვდარი და მომაკვდავი ადამიანები ადგილზე გააქვავა. დროთა განმავლობაში, როცა სხეულები გაიხრწნა, ვულკანურ ფერფლში მათ ადგილას ანაბეჭდიანი სიღრუეები დარჩა.

პომპეის ნანგრევები მე-19 საუკუნეში აღმოაჩინეს. 1870-იან წლებში, სიღრუეები თაბაშირით ამოავსეს, რათა მათი წარმომქმნელი სხეულების ფიგურები მიეღოთ. თუმცა, მხოლოდ სხეულის ფორმები როდი შემოინახა. თაბაშირში აღმოჩნდა დარჩენილი ძვლებიც.

არქეოლოგებს, რომლებმაც მე-19 საუკუნეში ეს ფიგურები გააკეთეს, დღევანდელი ტექნოლოგიები არ ჰქონდათ; მას შემდეგ 150 წელი გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა.



ფიგურებში შემონახულია ვულკანის მსხვერპლთა გენეტიკური მასალები, რაც ამ რომაული ქალაქის ცხოვრების დეტალების გარკვევაში გვეხმარება.

ანალიზები ფლორენციის უნივერსიტეტის არქეოლოგის ელენა პილის ჯგუფმა თაბაშირის 14 ფიგურიდან აღებული ჩონჩხების ფრაგმენტებზე ჩაატარა; ნიმუშები ამჟამად რესტავრაციის ქვეშ მყოფ 86 ფიგურას შორის შეარჩიეს. ამოცანა სულაც არაა მარტივი.

**„ვულკანური ამოფრქვევის უზარმაზარმა სიცხემ და თაბაშირის გაქვავების პროცესმა შეიძლება განსაზღვროს დნმ-ის გრძელვადიანი შენახვის საკითხი. როგორც წესი, გენეტიკურ ანალიზებში ვცდილობთ, გამოვიყენოთ ჩონჩხის ის ელემენტები, რომლებიც ვიცით, რომ დნმ-ს განსაკუთრებით კარგად ინახავს. მაგალითად, ყურის შიდა ნაწილი თავის ქალაზე ან კბილები“,** – განმარტავს ჰარვარდის უნივერსიტეტის ანთროპოლოგი ელაისა მიტნიკი.

მისი განცხადებით, საჭირო იყო, რომ ამ კვლევაში ნაკლებად გამოეყენებინათ შერჩევითობა, რადგან ჩონჩხის მხოლოდ იმ ნაწილებიდან შეეძლოთ ნიმუშების აღება, რომლებიც რესტავრაციის დროს ჩანდა დაზიანებული ფიგურებიდან. შედეგად, გენეტიკური მასალა 14 ფიგურიდან მხოლოდ ექვსში აღმოჩნდა ხელმისაწვდომი.

ფიგურები ბრწყინვალეა, მაგრამ არაა სრულყოფილი. ვიზუალს მიღმა სხვა დეტალების დასადგენად, საჭირო იყო სწორედ გენეტიკური კვლევა. ოქროს სამაჯური, რომელიც ბავშვიან ინდივიდს ეკეთა, ქალის სამკაულად მიიჩნეოდა და შესაბამისად, ეს პირი – ქალად.

ორივე მოსაზრება მცდარი აღმოჩნდა.

ოქროს სამაჯურის სახლში აღმოჩენილი ოთხი ინდივიდი მშობლებად და მათ ორ შვილად მიიჩნეოდა, მაგრამ ისინი გენეტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული არ აღმოჩნდნენ. ერთმანეთზე გადახვეულ წყვილში სულ მცირე ერთი ინდივიდი კაცი იყო; სავარაუდოდ, მეორე ინდივიდიც კაცია.

ახალი აღმოჩენები მიუთითებს პომპეის იმაზე გაცილებით ღრმა, უფრო კომპლექსურ საზოგადოებაზე, ვიდრე აქამდე წარმოგვედგინა.

**„აღმოჩენა გვაიძულებს, შევცვალოთ ზედმეტად მარტივი ინტერპრეტაციები რომაულ საზოგადოებაში გენდერისა და ოჯახის დინამიკის შესახებ, რომლებიც შეიძლება სულაც არ აირეკლავდეს თანამედროვე დასავლურ ინტუიციებს“, — ამბობს მიტნიკი.**

**ანალიზებით ასევე გამოვლინდა პომპეის იმაზე დიდი გენეტიკური მრავალფეროვნება, ვიდრე აქამდე მიიჩნეოდა. შესწავლილი ინდივიდები ძირითადად მიეკუთვნებოდნენ შედარებით ახალ იმიგრანტების შთამომავლებს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან და ახლო აღმოსავლეთიდან და არა იმ ხალხს, ვინც ამ რეგიონში უკვე საუკუნეები ცხოვრობდა.**

ასეთი მრავალფეროვნება უფრო ფართოდ დამახასიათებელია დასავლეთ იტალიის რომაული რეგიონისთვის, რაც ასახავს გლობალიზაციის ადრეულ გარიჟრაჟს, რომელსაც აძლიერებდა ვაჭრობა რომის იმპერიაში.

და ეს მხოლოდ ექვსი ადამიანია მრავალათასიანი ქალაქიდან. შედეგი უბრალოდ განსაცვიფრებელია. გვაძლევს არა მხოლოდ ახალ ცნობებს ათასობით წლის წინანდელი ხალხის ცხოვრების შესახებ, არამედ მიგვანიშნებს იმასაც, რომ აუცილებელია გადავხედოთ მიკერძოებულ შეხედულებებს იმისათვის, რათა უფრო ზუსტად შევისწავლოთ ადამიანთა ისტორია.

## სტუმარი



# ფიფას პრეზიდენტს ინფანტინო თბილისში

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე თბილისის მერ კახა კალაძესთან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილთან ერთად ფიფას პრეზიდენტს ჯანი ინფანტინოს შეხვდა.**

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ფეხბურთის ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე.

საუბარი შეეხო სამომავლო გეგმებს, მათ შორის, დაგეგმილი ახალი, საერთაშორისო სტანდარტების სტადიონის მშენებლობის საკითხს, რომელიც 70 000 გულშემატკივარზე იქნება გათვლილი. ასევე განიხილეს საქართველოს განაცხადი მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის მასპინძლობაზე.

ჯანი ინფანტინომ, რომელიც საქართველოში დელეგაციასთან ერთად იმყოფება, ის ობიექტები მოინახულა, რომლებიც ფიფას დაფინანსებით შენდება.

ფედერაციის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს სიმბოლური საჩუქარი, ფიფას მაისური გადასცა.

## თაობა

# უფროსთა კვალზე

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის ჯგუფური ეტაპი გამარჯვებით დაიწყო. ჩვენმა ასაკობრივმა გუნდმა სტუმრად ჯგუფის მასპინძელ შვედეთს 2:1 მოუგო.**

შეხვედრაში ანგარიში მეტოქეებმა პირველი ტაიმის 30-ე წუთზე გახსნეს, თუმცა მეორე ტაიმის 70-ზე **გიორგი ნიკოლაიშვილმა** ანგარიშის გათანაბრება შეძლო, ხოლო მატჩის მიწურულს, 88-ე წუთზე, **საბა გეგუჩაძემ** ჩვენი ნაკრები წინ გაიყვანა.

შემდეგ მატჩს **ლაშა ფირცხალაიშვილის** გუნდი 16 ნოემბერს ნორვეგიის წინააღმდეგ ჩაატარებს, რომელმაც ესტონეთის დამარცხება იდენტური ანგარიშით შეძლო.

შეხვედრას ჩვენი ნაკრები დანაკლისით შეხვდა – ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვედეთთან მატჩი გუნდის შემტევმა – **ვახტანგ სალიამ** გამოტოვა.

შესარჩევი ეტაპის თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო ნაკრები და ასევე, საუკეთესო მესამეადგილოსანი გავა და ისინი ელიტ-რაუნდში გადაინაცვლებენ. ელიტ-რაუნდში 7 ჯგუფი იქნება, რომელთა გამარჯვებულები უკვე ევროპის ჩემპიონატზე გავლენ, რომელიც 2025 წლის ივნისში რუმინეთში ჩატარდება.



## მეტოქე

# ზინჩენკო: რთული თამაში იქნება

**უკრაინის ნაკრების ფეხბურთელმა ოლექსანდრ ზინჩენკომ საქართველოს ნაკრებთან მატჩამდე კომენტარი გააკეთა.**



მან პირველი შეხვედრაც გაიხსენა, რომელშიც ტრავმის გამო ვერ ითამაშა:

**„ძალიან ცუდი მოედანი იყო და ორივე გუნდისთვის რთული იყო ფეხბურთის ჩვენება, ამიტომ წინა პლანზე ბრძოლა გამოვიდა. ვფიქრობ, ახლა თუ საუკეთესო თამაშს ვაჩვენებთ, ყველაფერს შევძლებთ.**

**ძალიან რთული თამაში იქნება. გვესმის ამ მატჩის ფასი და ამიტომ ახლა შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს“,** – თქვა ზინჩენკომ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ერთა ლიგის B დივიზიონის პირველ ჯგუფში ოთხი ტურის შემდეგ 6 ქულით მეორე ადგილზეა. ჯგუფს 7 ქულით ჩეხეთი ლიდერობს, ალბანეთს 6 ქულა აქვს, ხოლო უკრაინას – 4. აღსანიშნავია, რომ **ვილი სანიოლს** კონტრაქტი 2028 წლამდე გაუგრძელდა.

საქართველოს ნაკრები 16 ნოემბერს, ბათუმში უკრაინას უმასპინძლებს, ხოლო 19 ნოემბერს ოლომოუცში ჩეხეთის ნაკრებს ესტუმრება.

## ისტორიიდან

# მეექვსედ იტალიასთან

**2024 წლის შემოდგომის ერთა სერიების ფარგლებში ბორჯღალოსნები 17 ნოემბერს იტალიას გენუაში ერკინებიან.**



ნოემბრის სანაკრებო ფანჯარაში ეს ორივე გუნდისათვის მეორე თამაშია. გასულ კვირას ჩვენები საფრანგეთში, მონპელიეში ოლ ბლექს XV-ს ეთამაშნენ (13:31), ხოლო იტალიელებმა უდინეში არგენტინას უმასპინძლეს და 18:50 დამარცხდნენ.

შეხვედრა „ლუიჯი ფერარიზე“ ჩვენი დროით 17:40 საათზე დაიწყება. „ლუიჯი ფერარი“ 1911 წელს გაიხსნა და ის 33 205 მაყურებელს იტევს.

აქამდე საქართველოს იტალიის წინააღმდეგ 5-ჯერ უთამაშია, საიდანაც მეტოქემ ოთხი მოიგო. პირველად „აძურას“ 1998 წელს ლაკვილაში ვეწვიეთ და მასპინძლებმა მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში 31:14 გაიმარჯვეს. 2000 წელს იტალიასთან ტესტ-მატჩი ლივორნოში გავმართეთ (51:7), ხოლო 2003 წლის მსოფლიო თასამდე მას ასტიში ვეთამაშეთ (31:22).

ამის შემდეგ იტალიელებთან ტესტს 15 წლის განმავლობაში ველოდით და მას მეოთხედ 2018 წელს ფლორენციაში შევხვდით – გამარჯვება ამჯერადაც მასპინძლებს დარჩათ ანგარიშით 28:17.

2022 წელს „აძურა“ პირველად ჩამოვიდა საქართველოში. ბათუმში ბორჯღალოსნებმა მეტოქეს 3 ლელო გაუტანეს, თავად მხოლოდ ერთი გაუშვეს და 28:19 გაიმარჯვეს. ეს იყო პირველი მოგება არა მხოლოდ იტალიასთან, არამედ ზოგადად ტიერ1-ის გუნდთან.

მთლიანობაში საქართველომ იტალიას ამ 5 თამაშში გაუტანა 8 ლელო და 88 ქულა, თავად კი 20 ლელო და 160 ქულა მიიღო.

## ევროპის თასზე

# მოგებით დავხურეთ

**ფიბა ევროპის თასზე „ქუთაისმა“ ბოლო ტურის მატჩი ჩაატარა და გამოსვლა გამარჯვებით დაასრულა.**

**კოტე ტუღუშის** გუნდმა ბოლო ტურში „ბალკანს“ უმასპინძლა, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში, ოვერტაიმში 93:92 დაამარცხა.

ძირითადი დრო ფრედ – 85:85 დასრულდა, ხოლო ოვერტაიმში საქართველოს ჩემპიონმა მეტოქეს 8:7 აჯობა და გამარჯვებაც მოიპოვა.

„ქუთაისის“ რიგებში საუკეთესო **აკაკი დვალიშვილი** იყო, რომელმაც 29 წუთში 22 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა. **ელიჯა ჯოინერი** 21 ქულით, 5 მოხსნით და 7 პასით გამოირჩა, ხოლო **გიორგი კორსანტიამ** ორმაგი დუბლი შეასრულა – 18 ქულა, 11 მოხსნა და 4 პასი.

„ქუთაისმა“ ჯგუფში 2 მოგებით და 4 წაგებით მესამე ადგილი დაიკავა. ქართულმა კლუბმა ორივე შეხვედრა ბულგარულ „ბალკანს“ მოუგო.

დავძენთ, რომ იმავე დღეს ევროლიგაში კვლავ გაიბრწყინა **თორნიკე შენგელიამ** (ვირტუსი), რომელმაც რეალს მადრიდში (86:98) 20 ქულა ჩაუგდო.



## აუზში

# მეოთხე წაგება




**წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაზე თბილისის „დინამომ“ უნგრულ „ფერენცვაროშს“ უმასპინძლა და სოლიდური სხვაობით – 7:18 დამარცხდა.**

ქართულმა გუნდმა ძლიერ მეტოქესთან ოთხივე პერიოდი წააგო და მოგების შანსი არ ჰქონია.

„დინამოს“ რიგებში ორი გოლით გამოირჩა **ველკო ტანკოსიჩი,** ხოლო თითო ბურთი **ბორის ვაპენსკიმ, ბესო ახვლედიანმა, საბა ტყეშელაშვილმა, სტეფან პიეშივაცმა** და **სანდრო ადეიშვილმა** გაიტანეს.

თბილისის „დინამო“ ჯგუფში ოთხი წაგებით და შესაბამისად, უქულოდ, ბოლო ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 20 ნოემბერს ხორვატეთში „იადრანს“ ესტუმრება.

# არდავიწყება

## გოგი კამკამიძე



პურპროდუქტების დარგს ღირსეული ინჟინერ-ტექნოლოგი, 1934 წელს დაბადებული გოგი კამკამიძე გამოაკლდა.

წლების განმავლობაში ბატონი გოგი თბილისის N6 პურის ქარხანას (პავლოვზე, საბურთალოზე) ხელმძღვანელობდა. ის მორიდებული და გაწონასწორებული, ყოველთვის ყურადღებიანი პროფესიონალი, თავის დარგზე ბოლომდე მოფიქრალი ადამიანი იყო, ყოველთვის გვეხმიანებოდა, თუ დარგს პრობლემა შეეხებოდა, თავის მოსაზრებებს გვიზიარებდა.

კამკამიძეები თბილისში ცნობილი ინჟინრის კონსტანტინე კამკამიძის ოჯახის შვილები იყვნენ. უფროსი ძმა, 1928 წ. დაბადებული, ამჟამად გარდაცვლილი პროფესორი, ისიც კონსტანტინე კამკამიძე, ელექტროტექნიკური განხრით კათედრის ხელმძღვანელი იყო. ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა და საინჟინრო აკადემიის წევრი გახლდათ. მომდევნო ძმა ლევან კამკამიძე საქართველოს დამსახურებული ინჟინერი იყო – დაბადებული 1933 წ., არქიტექტორი გახლდათ, გარდაიცვალა 1994 წ.

ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის დაფასებული ადამიანები ყველას უყვარდა.

დამსახურებული ღვაწლისა და ავტორიტეტის გამო მაღალი რანგის პროფესიონალის გოგი კამკამიძის სულეთში წასვლა არ გვინდა შეუმჩნეველი დარჩეს საზოგადოებისათვის. სამწუხაროდ, გვიან შევიტყვეთ მისი გარდაცვალება, ამიტომაც ვაქვეყნებთ ამ გულწრფელ გამოსათხოვარს, დაე საზოგადოებამ იცოდეს, რომ გოგი კამკამიძემ, ამ კარგმა კაცმა, ნათელი კვალი დატოვა, როგორც პიროვნებამ და როგორც პროფესიონალმა.

„აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.

**საქართველოს პურპროდუქტების მინისტრის ყოფილი მოადგილე**
**ი. ოსიპოვი,**

**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის ხელმძღვანელი**
**მ. დოლიძე.**

# „გულაობა“ შეიძლება დასრულდეს ზედოზირებით, უეცარი სიკვდილით!

## ნარკოლოგი ზურა სიხარულიძე გირჩევთ!



**ნარკოლოგი ზურა სიხარულიძე სოციალურ ქსელში ვიდეომიმართვას ავრცელებს, სადაც საზოგადოებას ნარკოტიკების მოხმარებასა და მისგან გამოწვეული ფატალური შედეგების შესახებ აფრთხილებს.**

როგორც ნარკოლოგი აღნიშნავს, დამოკიდებულება შესაძლოა იმდენად მძიმე ფორმაში გადავიდეს, რომ ნარკოტიკის გარდა ადამიანისთვის ყველაფერი უინტერესო გახდეს.

„ეს ვიდეო განკუთვნილია იმათთვის, ვინც თვლის, რომ არაფერი მოხდება, თუ ერთხელ გავსინჯავ, დავისვენებ, „რელაქსი“ მინდა, ამდენი ხალხი ხმარობს; თან ინტერნეტში უამრავი რამ წავიკითხე, ერთმანეთს გავუზიარეთ, „ტიკ-ტოკზე“, რა ვიცი მილიონ რამეზე, რომ უსაფრთხოა, ადვილი მოსანახია საიტზე, ვერავინ გამაკონტროლებს, სად და როგორ ვიყიდე და ა.შ.

კი, ნამდვილად ასეა, მაგრამ ამ სცენარს აქვს სამი სხვადასხვა „გამოსავალი“: რა თქმა უნდა, თქვენი გადასაწყვეტია, რა უნდა გააკეთოთ:

პირველი, ის, რაც გამოიწერე, შესაძლოა, სრულიად სხვა რამე აღმოჩნდეს და იყოს „ფენტალინით“ დაბინძურებული. „გულაობა“ შეიძლება დამთავრდეს ზედოზირებით, უეცარი სიკვდილით ან დაიძინო და დილით საწოლში მკვდარი გნახონ! ეს ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სცენარია. თუ ვინმესთან ერთად მოიხმარე და იციან, აუცილებლად 112-ში უნდა დარეკონ, სანამ სუნთქვა გაგიჩერდება და „ნარკანს“ გაგიკეთებენ. ზოგადად, ეს პრეპარატი ოპიატების ზედოზირების დროს გამოიყენება. უნივერსალური საშუალებაა ადამიანის ზედოზირებისგან გადასარჩენად. ყოველთვის ეცადეთ, რომ მარტო არ იყოთ.

მეორე სცენარი ის არის, რომ შეიძლება დაგეწყოს ჰალუცინაციები, შფოთვა, ფორიაქი, დეზორიენტაცია, დერეალიზაცია, ძლიერი აღგზნება, შემდეგ შესაძლოა აგეწიოს წნევა, განვითარდეს ინსულტი და ინფარქტი, რადგან სტიმულატორების მოხმარების დროს, ეს არის ერთ-ერთი მეორე გართულება, შეიძლება ისეთიც კი, რომ საერთოდ, რეალობასთან კავშირი დაკარგო და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდე. ალბათ, არც ესაა სასიამოვნო სცენარი.

მესამე სცენარი, რაც შეიძლება განვითარდეს, არის ის, რომ რაც ყველაფერი ზევით ვთქვი, შესაძლოა არ მოხდეს, არაფერი მოგივიდეს და ეს ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ერთ მოხმარებას შეიძლება მეორე, მესამე მოჰყვეს და მერე ჩამოყალიბდეს დამოკიდებულება ამა თუ იმ ნივთიერების მიმართ იმიტომ, რომ მოგეწონა.

რაც მთავარია, შენი სურვილით იმოქმედე, ნურასდროს მოიხმარ ნარკოტიკს იმიტომ, რომ ეს კარგია, „იგულავებ“ და ვიღაცამ ასე გითხრა, შენ თვითონ გადაწყვიტე, ეს არ არის სასირცხვილო, არ მოგწონდეს ნარკოტიკის მოხმარება. არავინ გაძალებს, შენი გადასაწყვეტია, მაგრამ ყოველთვის უნდა იცოდე, რა ზიანი შეიძლება მოგიტანოს ნარკოტიკმა და რა შეიძლება შეცვალოს შენს ცხოვრებაში“, – აცხადებს ზურა სიხარულიძე.

# ცვლილება პირველკლასელებს შეეხებათ! – მნიშვნელოვანი ინფორმაცია მშობლებს



**სკოლაში შესვლის მსურველთა ასაკი ბოლოჯერ შეიცვლება მომავალი სასწავლო წლისთვის.**

როგორც ზოგადი განათლების შესახებ კანონში წერია, 2025 წლის 1 იანვრიდან პირველ კლასში შესვლა იმ ბავშვებსაც შეეძლებათ, რომლებსაც 6 წელი სწავლის დაწყების თარიღიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შეუსრულდებათ. „ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი, რომელიც პირს სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით უსრულდება.

ამასთანავე, პირს, რომელსაც 6 წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უსრულდება, უფლება აქვს, მშობლის გადაწყვეტილებით ნებაყოფლობით დაიწყოს სწავლა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე“!

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -** შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფის“ მიერ ქარელის მუნიციპალიტეტში, დაბა აგარის და სოფლების მოხისის და ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიზე, სასარგებლო წიაღისეულის (აგარის ქვიშა-ხრეშის საბადო) მოპოვება

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 29 ნოემბერი, 12:00 საათი,** ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. აგარას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა. **გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 6 ნოემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -** სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ მესტიის მუნიციპალიტეტში 500/110/35/10 კვ ძაბვის ქვესადგურის „იდლიანი 500“-ის მშენებლობა და ექსპლუატაცია

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 3 დეკემბერი, 16:00 საათი, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაიშის თემის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა. **გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 6 ნოემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# „ვანო მაჩაბელი. გზა ევროპისკენ!“

**15 ნოემბერს, 15 საათზე, საქართველოს მწერალთა სახლში ალბომის – „ვანო მაჩაბელი. გზა ევროპისკენ“ წარდგენა გაიმართება.**

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ალბომი „ივანე მაჩაბელი. გზა ევროპისკენ“, ბევრი ავთენტიკური და უნიკალური მასალითაა წარმოდგენილი – წერილები, ფოტოსურათები, მიმოხილულია ივანე მაჩაბლის ცხოვრების ყველაზე საკვანძო ეტაპები – ბიოგრაფიული ცნობები, მისი საზოგადო მოღვაწეობა, მისი ურთიერთობა იმ დიდ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, რომლებმაც დააფასეს ივანე მაჩაბელი მისი არაორდინარული, ფართო ცოდნით, განათლებითა და პროგრესული აზროვნებით.

ალბომის შემდგენელია თამარ ხიზანიშვილი.

„ყოველი დიდი საქმის წამომწყებთა შორის, ევროპული ფასეულობების დამკვიდრების, ნაციონალური თვისებების გარდაქმნის მოთავე ივანე გიორგის ძე მაჩაბელი გახლდათ. ილია ჭავჭავაძე ყველა დიდსა და ეროვნულ საქმეში გვერდით იყენებს ახალგაზრდა ვანო მაჩაბელს“ – წერს ავტორი...



# მხატვარ ქალთა გამოფენა

**დღეს ლიტერატურის მუზეუმში მხატვარ ქალთა გამოფენა გაიხსნება.**

ლიტერატურის მუზეუმის ინფორმაციით, წარმოდგენილი იქნება ლიტერატურის მუზეუმში დაცული – ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, თამარ აბაკელიას, ეკატერინე ბაღდავაძის, ელენ ფრანკენის, ბარბარე ბებუთოვა-გაბუნიას, ნინა თამამშევას, ნელი კანდელაკის, მერი მიქელაძე-ბაგრატიონის, სოფიო მირზაშვილის, ელენე სოკოლოვსკაიას, ანა ნიკოლაძის, ნათელა იანქოშვილის, რუსუდან ჯავრიშვილის, იდა მთვარაძის, ინა დივნოგორცევა-გრიგოლიას, რუსუდან ნიკოლაძის, მაყვალა მრევლიშვილის, დიანა ჭეიშვილის, ნატო მირზაშვილის, ანა გაბრიაძის, მზია დათუნაიშვილის, იზა ორჯონიკიძის – ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები.




# სოფიო ძიძიგურის წარმატება ამერიკაში

**მან აშშ-ის ქალაქ ოსტინის ბუტლერ Opera Center-ის კონკურსში გაიმარჯვა.**



**„ვულოცავთ კონსერვატორიელს, მეცო-სოპრანო სოფიო ძიძიგურს აშშ-ის ქალაქ ოსტინში butler Opera Center-ის მიერ გამართულ კონკურსში „2025 Concerto Competition“-ში გამარჯვებას.**

**ამ შედეგით იგი 2025 წლის 26-28 აპრილს კონცერტს გამართავს ტეხასის უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მაესტრო ფარხად ჰუდიევის ხელმძღვანელობით“,** – აღნიშნულია კონსერვატორიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**უცხოური ვალუტის კურსი:**

**აშშ დოლარი - 2.7374; ევრო - 2.9058;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4874;**
**100 რუბლი - 2.7753; თურქული ლირა - 0.0796;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6106;**
**1000 სომხური დრამი - 7.0703.**



# „კამარამ“ კალაურის ეკლესია განაახლა

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სოფელ კალაურში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კრამიტის სახურავი თითქმის სრულად იყო დაზიანებული და ნალექის შემთხვევაში ტაძრის კედლებზე არსებულ ფრესკებს უქმნიდა საფრთხეს. ამასთანავე, ეკლესიას არ გააჩნდა სარინელი.

რეაბილიტაციის ფარგლებში მოიხსნა ამორტიზებული კრამიტი როგორც ეკლესიის ცენტრალური, ისე გვერდითა ნავების სახურავებიდან. ასევე, მოიხსნა კრამიტის ქვეშ არსებული კირის დუღაბი, რის შემდგომაც ტაძრის ცენტრალური და გვერდითა ნავების სახურავებზე კირის ხსნარის საფუძველზე მოეწყო კრამიტის საფარი. გარდა ამისა, ტაძრის გარშემო ბრტყელი რიყის ქვებით მოეწყო სარინელი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ეკლესიის რეაბილიტაციისთვის დახარჯა 58 544 ლარი. სარეაბილიტაციო სამუშაოები ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ – შპს „კამარამ“- შეასრულა.

კალაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2020 წლის 14 აპრილს მიენიჭა. ძეგლი მიეკუთვნება VI-VII საუკუნეებს და მოხატულია XVI საუკუნის შუა წლებში.

# ნათო ყიფიანის სადებიუტო რომანი არაბეთში

**არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ შარჯას საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე კანადურმა გამომცემლობა „ბუქლენდ პრესმა“ ახალგაზრდა ქართველი მწერლის ნათო ყიფიანის სადებიუტო რომანი „მოგონებათა ტყე“ წარადგინა, რომელიც 2024 წელს მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა.**




მწერალთა სახლის ინფორმაციით, კანადელმა გამომცემელმა რობერტ მორგანმა წიგნის შესახებ ისაუბრა რადიოინტერვიუში, რადიო Sharjah – Pulse 95-ის ეთერში.

„ეს არის ახალგაზრდა ქართველი მწერლის შთამბეჭდავი დებიუტი“, – აღნიშნა გამომცემელმა.

შარჯას საერთაშორისო ბაზრობის გარდა, ნათო ყიფიანის პირველი რომანი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზეც კანადურმა გამომცემლობა „ბუქლენდ პრესმა“ წარადგინა, რომელიც მწერალთა სახლის ხელშეწყობით განხორციელდა.

შარჯას წიგნის ბაზრობა ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფესტივალია, სადაც ასზე მეტი ქვეყანა იღებს მონაწილეობას და რომელიც ხუთ მილიონ სტუმარს მასპინძლობს.

# NASA უცხოპლანეტელების ძებნას დაიწყებს...

NASA აპირებს ახალი კოსმოსური ტელესკოპის გაშვებას, რომელიც 100-ჯერ მეტს ხედავს, ვიდრე ჰაბლის კოსმოსური ტელესკოპი. ეს დაეხმარება მეცნიერებს, შეიმუშაონ ტექნოლოგია უცხო სამყაროების აღმოსაჩენად. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.

სააგენტოს თქმით, ნენსი გრეის რომაულ კოსმოსურ ტელესკოპს 2027 წლის მაისში გაუშვებენ. NASA-მ თქვა, რომ ახალი კოსმოსური ტელესკოპი ასევე განიხილება, როგორც მთავარი ნაბიჯი მომავალი ტექნოლოგიებისკენ, რაც ასტრონომებს საშუალებას მისცემს, მოძებნონ დასახლებული პლანეტები. მისიის ნაწილია რომაული კორონაგრაფის ინსტრუმენტის გამოცდა, რომელიც შესაძლოა გადამწყვეტი იყოს მომავალი ტელესკოპების დასახმარებლად დედამიწის მსგავსი პლანეტების აღმოჩენაში.



რომაული კორონაგრაფი აძლევს მეცნიერებს ახალ ინსტრუმენტს უცხო სამყაროების ძიებაში, რაც მათ საშუალებას აძლევს, დაბლოკონ ვარსკვლავების შუქი და უშუალოდ დაინახონ მკრთალი პლანეტები.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 ნოემბერს**